თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ბაჩო ჭაფანძე

ნაშრომი: **აშშ-ს ახლო აღმოსავლური პოლიტიკა**

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0177, საქართველო.

2021 წელი, „ივლისი“

ავტორი: ბაჩო ჭაფანძე

საიდენტიფიკაციო ნომერი: 19001100992

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

„ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ბაჩო ჭაფანძის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „აშშ-ს ახლო აღმოსავლური პოლიტიკა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილული იქნას თბილისის ღია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოველბად".

თარიღი_____

ხემძღვანელი :

მარინე იზორია, პროფესორი _____

რეცენზენტი: _____

ხარისხის მართვისა დეპარტამენტის სამსახურის უფროსი:

ნათია ვაჭარაძე

_____

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომი ,,აშშ-ის ახლო აღმოსავლური პოლიტიკა“ ეხება გლობალური დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რამდენადაც ახლო აღმოსავლეთში არსებულ რთულ გამოწვევებთან გამკლავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ამ რეგიონში კიდევ მოხდება მომავალი ესკალაცია, საერთაშორისო სისტემაში შეიძლება უდიდესი სისტემური ძვრები მოხდეს. ახლო აღმოსავლეთის თითოეული სახელმწიფო გავს დენთის კასრს. ისინი თავიანთი ენერგო-რესურსებით, სატრანზიტო მდებარეობითა და რელიგიური ფუნდამენტალიზმით წარმოადგენენ დიდ სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების ცხელ წერტილს, პოლიტიკური ბალანსის შესანარჩუნებლად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთი ეს არის რეგიონი რომლის ისტორია იწყება პირველი ადამიანის, პირველი ცივილიზაციის ჩამოყალიბებიდან. სწორედ აქ გაჩნდა პირველი წარმონაქმნები, რომლის მეშვეობით ჩამოყალიბდა თანამედროვე საზოგადოება, მეცნიერება, ცივილიზაცია. მიუხედავად ამისა, თითოეული ჩვენთაგანისთვის ნათელია ის, რომ ამ მიწაზე ჩვენ ვხვდებით მუდმივ დაძაბულობას, პერმანენტულ ომებს სხვადასხვა სახელმწიფოებს, რელიგიებს შორის. ახლო აღმოსავლეთისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ რაც დაიწყო მსოფლიო მასშტაბით ნავთობის აქტიური მოხმარება, ახალი ინოვაციების განხორციელება რომელიც უზრუნველყოფდა ბუნებრივი რესურსების აქტიურად ათვისებას, გამოყენებას. ყველასთვის ცნობილია ის, რომ ეს რეგიონი ფლობს “დედამიწის ნავთობის“ 61%-ს, რაც უზრუნველყოფს მისადმი ინტერესის გაძლიერებას ისეთი სახელმწიფოების მხრიდან, რომლებსაც შესწევთ შესაბამისი ძალა, მნიშვნელოვანი ცვლილებები და გამოწვევები განახორციელონ საერთაშორისო ასპარეზზე. ჯერ კიდევ პირველი

მსოფლიო ომის დროს აქტიურად იყო დაინტერესებული ამ რეგიონით ოსმალეთის იმპერია, შემდეგ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთის იმპერია, შემდეგ კი უკვე აშშ.

დღესდღეობით ახლო ახმოსავლთში მთავრი მოთამაშეები ერთის მხრივ არინ აშშ, ევრპა, რუსეთი, ირანი, თურქეთი, არაბული სამყარო საუდის არაბეთის მეთაურობით, ისრაელი და გარდა ამისა არის ისეთი ტიპის მოთამაშეები, რომლებიც ცალკე რელიგიურ პლატფორმაზე დგანან: შიიტები, სუნიტები და ,,ისლამური სახელმწიფო“ და ქურთები. ასეთი რაოდენობით მოთამაშეების არსებობა, რომელთაც თავისი ინტერესები აქვთ, განაპირობებს საომარი მდგომარეობის არასტაბილურობას. ახლო აღმოსავლეთში არსებულ რთულ გამოწვევებთან გამკლავებას უდიდესი მნიშვნელიბა აქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. განსაკუთრებით ტერორიზმის საფრთხის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, რაც თავისთავად გლობალური უსაფრთხოების წინაშე მდგარი სერიოზული გამოწვევაა. რეგიონში კვლავ მიმდინარეობს ისლამური ძალების გაძლიერება. უმდიდრესი ტერორისტული ორგანიზაცია - „ისლამური სახელმწიფო“ (ISIS) - აკონტროლებს ერაყისა და სირიის საკმაოდ დიდ ტერიტორიებს. ასევე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ირანის ბირთვული პროგრამა, რომელზეც მოლაპარაკებები დღესაც მიმდინარეობს. კვლევის მიზანს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და ამ რეგიონში აშშ-ის პოლიტიკის კვლევა და ანალიზი.

ნაშრომი შედგება შესავალის, ხუთი თავის, ოთხი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები, ნაშრომის სანეცნიერო სიახლე და კვლევის მეთოდები. პირველი თავი ეძღვნება აშშ-ის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში. მეორე თავი ეხება აშშ-ის სამხედრო ოპერაციებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და შედგება ორი ქვეთავისაგან. პირველ ქვეთავში საუბარია აშშ-ის ჰუმანიტარული სამხედრო ინტერვენციაზე სპარსეთის ყურეში 1991 წელს, ხოლო მეორე ქვეთავში

საუბარია 2001 და 2003 წლებში აშშ-ის სამხედრო ოპერაციებზე ავღანეთსა და ერაყში. მესამე თავი ეხება თანამედროვეობის უდიდეს გამოწვევას - ,,არაბული გაზაფხულის სახელწოდებით ცნობილ პოლიტიკურ პროცესებს, რომელსაც მოჰყვა რიგი პრობლემებისა, რომელთა შორისაც არიან თანამედროვე გლობალური პოლიტიკის, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო მწვავე პრობლემები, სირიის კრიზისი, ISIS-ი და ლტოლვილთა მოუგვარებელი საკითხი; გაანალიზებულია არაბული გაზაფხულის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, მოცემულია ამ პროცესების პოლიტოლოგიური ანალიზი და ავტორისეული შეფასებანი. მეოთხე თავში განხილულია აშშ - ირანის თანამედროვე რთული ურთიერთობები, ერთი მხრივ, თეირანის ატომური პროგრამის ირგვლივ არსებული დაპირისპირებანი და, მეორე მხრივ, მასთან მშვიდობიანი ურთიერთობების განვითარების მცდელობები სირიის კონფლიქტის მოგვარების, ევროპის ბაზრებზე ირანის ბუნებრივი რესურსების პორტირებისა და სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარე. მეხუთე თავში განხილულია აშშ-ის სამხედრო ძალების ავღანეთიდან გაყვანის საკითხი და მოცემულია კვლევა, აშშ-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია და ინტერნეტ - რესურსები. იგი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 70 გვერდს.

Summary

Master's Degree "United States Middle East Policy" refers to one of the major problems of the global agenda, As far as dealing with the challenges in the Middle East are of great importance to international peace and security. If the next escalation occurs in this region, then there may happen a great systemic shift in the international system. Every country in the Middle East looks like a gun barrel. They represent their energy-resources, transit location, and religious fundamentalism to halt the hot spot between large states to maintain a political balance. It is important to note that the Middle East is a region whose history begins with the formation of the first man, the first civilization. It was here that the first formations emerged, through which modern society was formed, science civilization nevertheless it is clear to each of us that on this earth we encounter constant tensions, permanent wars between different states, religions. Interest in the Middle East has intensified especially since the active consumption of oil around the world, the implementation of new innovations that ensured the active use of natural resources. It is a well-known fact that this region holds 61% of the world's "oil", which ensures the strengthening of interest in it by states that have the appropriate power to make significant changes and challenges in the international arena. Even during the First World War, the Ottoman Empire was actively interested in this region, followed by Great Britain, France, Germany, and the Russian Empire And then already the US.

The main players in the Middle East today are the United States, Europe, Russia, Iran, Turkey, the Arab world led by Saudi Arabia, Israel and, in addition, there are players who stand on a separate religious platform: Shiites, Sunnis and Islamic State and Kurds. The existence of such a large number of players who have their own interests contributes to the instability of the state of war. Dealing with the difficult challenges in the Middle East is of paramount importance for international peace and security. Especially against the

background of the significant increase in the threat of terrorism, which in itself is a serious challenge to global security. Islamic forces are still being strengthened in the region. The richest terrorist organization - "Islamic State" (ISIS) - controls large areas of Iraq and Syria. Islamic forces are still being strengthened in the region. The richest terrorist organization - "Islamic State" (ISIS) - controls large areas of Iraq and Syria.The goal of the research is to analyze and the political processes developed in the Middle East and the US policy in the region.

The work consists of an introduction, five chapters, four subsections, a conclusion and a list of references. The introduction substantiates the relevance of the topic, goals and objectives, the scientific novelty of the paper and research methods. The first chapter is devoted to US interests in the Middle East. The second chapter deals with US military operations in the Middle East region and consists of two subsections. The first section discusses US humanitarian military intervention in the Persian Gulf in 1991, and the second section discusses US military operations in Afghanistan and Iraq in 2001 and 2003. The third chapter addresses the greatest challenge of modernity - The biggest challenge of modernity, the political processes known as the „Arab Spring'', which was followed by a number of problems, including modern global politics, arguably the most acute problems, the Syrian crisis, ISIS and the unresolved refugee issue; The main causes of the Arab Spring are analyzed, a political analysis of these processes and are given authorial assessments.The fourth chapter discusses the current complex US-Iranian relations, the controversy, surrounding Tehran's nuclear program, and efforts to develop peaceful relations with it based on the resolution of the Syrian conflict, the porting of Iran's natural resources to European markets, and other considerations. The fifth chapter discusses the withdrawal of US troops from Afghanistan and provides a study on the US decision.

Master's degree is accompanied by a list of used scientific literature and Internet resources. It includes 70 pages printed on a computer.

შინაარსი

რეზიუმე 4

Summary 7

შინაარსი 9

შესავალი 10

თავი 1. აშშ-ს ინტერესები ახლო აღმოსავლეთში 13

თავი 2. აშშ-ის სამხედრო ოპერაციები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში 17

2.1 აშშ-ის ჰუმანიტარული ინტერვენცია სპარსეთის ყურეში 17

2.2 აშშ-ს სამხედრო ოპერაციები ავღანეთსა და ერაყში 23

თავი 3. არაბული გაზაფხული 37

3.1. გადატრიალება თუ აშშ-ს ,,რბილი ძალის“ შედეგები 37

3.2 სირიის კონფლიქტი 44

თავი 4. აშშ-ირანის თანამედროვე ურთიერთობები 51

თავი 5. კვლევა - უნდა გავიდეს თუ არა აშშ-ის სამხედრო ძალები ავღანეთიდან? 61

დასკვნა 65

გამოყენებული ლიტერატურა 68

ინტერნეტ რესურსები 70

შესავალი

თემის აქტუალობა. საბაკალავრო ნაშრომი ეხება გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს - ახლო აღმოსავლეთის პრობლემებსა და ამ რეგიონში აშშ-ის ინტერესებს. ისტორიულადაც, ახლო აღმოსავლეთი ყოველთვის იყო პოლიტიკური, რელიგიური და კლანური დაპირისპირების ბუდე. სახელმწიფოები, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავდნენ, მუდმივად ისწრაფვოდნენ ამ რეგიონისაკენ, გავლენის სფეროების გაფართოებისა თუ ნავთობისა და გაზის საკითხში დივიდედენდების მოპოვების მიზნით.

ყველასთვის ცნობილია, რომ ამ რეგიონისადმი მნიშვნელოვანი ინტერესი ჰქონდა ჯერ კიდევ სპარსეთის იმპერიას, რომელიც აკონტროლებდა ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილებს. შემდგომ ოსმალეთის იმპერიას, დიდ ბრიტანეტს, გერმანიას, საფრანგეთს და რუსეთის იმპერიას. მეორე მსოფლიო ომმა კი მთლიანად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური სურათი და სრულიად ახალი საერთაშორისო სისტემა ჩამოყალიბდა. მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მთავარი შედეგი მთელს ახლო აღმოსავლეთში იყო დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური როლის შემცირება. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი იძულებულნი გახდნენ დაეთმოთ თავიანთი პოზიციები და კონტროლი ახლო აღმოსავლეთში. ამან კი გამოიწვია ორი ახალი ზესახელმწიფოს, აშშ-ისა და სსრკ-ის როლის ზრდა რეგიონში, ამის შედეგად თანდათანობით განავრცეს თავიანთი პოლიტიკური და სამხედრო ზეგავლენა.

1991 წლის 26 დეკემბერს, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და დასრულდა ცივი ომის მრავალწლიანი ეპოქა, მსოფლიო საერთაშორისო თუ გეოპოლიტიკურ არენაზე წამყვან ძალად მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები დარჩა. ამ დროიდან მოყოლებული, აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს შორის ახლო აღმოსავლეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა. ამ რეგიონისადმი ამერიკის მმართველი წრეების მიდგომის საფუძველს წარმოადგენს აშშ-ის ეკონომიკური,

პოლიტიკური, სამხედრო, სტრატეგიული და სხვა ინტერესები. აღნიშნულ რეგიონს აშშ განიხილავს როგორც რეგიონალური და ლოკალური კონფლიქტების ერთ-ერთ ყველაზე საშიშ კერას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს გლობალური მასშტაბის კრიზისი. ამრიგად, თემის აქტუალობა განპირობებულია პრობლემის სიმწვავის ხარისხით, ახლო აღმოსავლეთის მდიდარი ენერგეტიკული რესურსებისა და საკვანძო გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, რის გამოც იგი აშშ-ის ინტერესების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაზე, ინტერნეტ რესურსებსა თუ არაერთ საინფორმაციო წყაროზე დაყრდნობით შესწავლილ იქნას ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პრობლემები და მისით აშშ-ის დაინტერესება, რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორით:

აშშ-ს ინტერესები ახლო აღმოსავლეთში (არაბულ ქვეყნებში) ყველასათვის ნათელია: XXI საუკუნეში ჩინეთი თავისი მზარდი ეკონომიკით მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებს შორის იკავებს ადგილს. აშშ-ს სამხედრო დანახარჯები კი დანარჩენი მსოფლიოს დანახარჯებს უტოლდება, რაც განაპირობებს აშშ-ის ეკონომიკურ დაღმასვლას. ახლო აღმოსავლეთი კი სწორედ ის რეგიონია, საიდანაც დიდი ეკონომიკური მოგების მიღება შეიძლება, ნავთობის საბადოების კონტროლიდან გამომდინარე. მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის უმთავრესი ამოცანა არის რეგიონის ნავთობრესურსებზე კონტროლის დამყარება. ვაშინგტონისთვის არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ისრაელის უსაფრთხოებას, ტერორიზმთან ბრძოლას და რეგიონის ქვეყნების დემოკრატიზაციას.

ნაშრომი მიზნად ისახავს განხილულ იქნას აშშ-ის სამხედრო ოპერაციები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში: ჰუმანიტარული სამხედრო ოპერაცია ერაყში (1991) და სამხედრო ოპერაციები ავღანეთსა (2001) და ერაყში (2003); გამოკვლეული და შეფასებული იქნას ,,არაბული გაზაფხულის“ სახელით განვითარებული

პოლიტიკური მოვლენები - როგორც პოლიტიკური გადატრიალება თუ როგორც აშშ-ის თანამედროვე პოლიტიკური სტრატეგიის - „რბილი ძალის“ განხორციელების შედეგი; გაანალიზირებულ იქნას აშშ-ირანის თანამედროვე ურთიერთობები და აშშ-ის მიერ შეიარაღებული ძალების ავღანეთიდან გაყვანის საკითხი.

საკვლევი თემის მეცნიერული სიახლე. საკვლევი თემის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარების საკითხის გააქტიურებაში, რადგანაც რეგიონი შესაძლებელია კვლავ უამრავი ახალი შიდა და გარე ხელისშემშლელი ფაქტორების გამოწვევის წინაშე აღმოჩნდეს. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეტაპზე ირანი, ლიბია, საუდის არაბეთი და ერაყი, რომლებიც მსოფლიოში ნავთობის უდიდეს რეზერვუარებს წარმოადგენენ, პოლიტიკური არასტაბილურობის გამო ადვილად სამართავნი გახდნენ დასავლეთის, განსაკუთრებით კი, აშშ-ის მიერ. ამიტომ, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ანატომიისა და ამ რეგიონში აშშ-ის ინტერესების საკითხების გამოკვეთა და კომპლექსურად შესწალის მცდელობა მიგვაჩნია ნაშრომის მთავარ სიახლედ, მით უფრო, რომ აღნიშნულ საკითხზე საქართველოში სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა მეტად მწირია.

კვლევის მეთოდები. ნაშრომის კვლევის პროცესი ეყრდნობა ისტორიულისა და ლოგიკის რელატიურ ერთიანობას, პოლიტოლოგიის ზოგადმეთოდოლოგიურ პრინციპებს - შედარებით ანალიზს, სისტემატურობისა და სტრუქტურულ-ფუნნქციონალურ მეთოდებს. პოლიტოლოგიური კვლევის კერძო მეთოდოლოგიური პრინციპებიდან გამოყენებულია ბიჰევიორისტული მეთოდოლოგია, აგრეთვე სტატისტიკური ანალიზი და ემპირიული მეთოდები.

თავი 1. აშშ-ს ინტერესები ახლო აღმოსავლეთში

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მოიცავს თანამედროვე ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიებს, იორდანიას, სირიასა და ლიბანს, ასევე მცირე აზიას (თანამედროვე თურქეთი), მესოპოტამიასა (ერაყი და აღმოსავლეთ სირია) და ირანის პლატოს (ირანი, ავღანეთი და დასავლეთ პაკისტანი), აგრეთვე ეგვიპტეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი აფრიკის კონტინენტზე მდებარეობს, მიმოიხილება, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ნაწილი. ეს გარემოება განპირობებულია ეგვიპტის მნიშვნელოვანი კავშირებით ახლო აღმოსავლეთის დანარჩენ ქვეყნებთან, უძველესი, შუასაუკუნეებისა და თანამედროვე ისტორიის პერიოდებში.

აგერთვე, საყურადღებოა ისიც, რომ ახლო აღმოსავლეთი ემეზობლემა მსოფლიოს რამდენიმე დიდ რეგიონს – სამხრეთ აზიას (კერძოდ, ავღანეთსა და პაკისტანს), ცენტრალურ აზიას (თურქმენეთს), სამხრეთ კავკასიას (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი), ბალკანეთს (კერძოდ, ბულგარეთი და საბერძნეთი), მაღრიბს (ლიბია), საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკას (კერძოდ, სუდანი). ეს რეგიონი მდებარეობს სამი კონტინენტის ევროპის, აზიისა და აფრიკის შესაყარზე, სადაც საერთაშორისო თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონში მდებარე სრუტეებს (ბოსფორის, დარდანელის და ა.შ). უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბოსფორის სრუტეს გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შავსა და მარმარილოს ზღვებს, აგრეთვე დარდანელის სრუტეს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებს. სრუტეები, ამავე დროს, ერთმანეთთან აკავშირებს ევროპასა და აზიას (ევროპასა და აზიას შორის დაყოფა სწორედ ამ სრუტეების ნაპირებზე გაჩნდა). ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, უდიდესი და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტიც კი არის სპარსეთის ყურე, რომელმაც XIX საუკუნიდან დღემდე, მსოფლიო სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. XX საუკუნეში აღმოჩნდა, რომ ეს ყურე და მისი მიმდებარე ხმელეთი მსოფლიოს

უმდიდრეს ნავთობისა და გაზის საბადოებს მოიცავს. ანგარიშობენ, რომ რეგიონში დადგენილია ნავთობის მსოფლიო მარაგის 61,5% და გაზის დადგენილი მსოფლიო მარაგის 41%. აღნიშნული რესურსები აქ ათობით, ზოგან კი ასზე მეტი წლის განმავლობაში არ ამოიწურება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მდებარე საუდის არაბეთის ნავთობი აშშ-ის ნავთობზე მოთხოვნილების 15%-ს აკმაყოფილებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბთა საამიროები, ყატარი, ირანი და ერაყი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია ოპეკის წევრები არიან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ოპეკზე მოდის ნავთობის მარაგის 77% და მოპოვების 40% და ოპეკის წევრი ქვეყნების პოლიტიკაზეა დამოკიდებული ნავთობზე მსოფლიო ფასების ცვალებადობა, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ოპეკის ფარგლებში ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები თანამშრომლობენ ანტიდასავლურ და შესაბამისად ალიანსის სტრატეგიულ მოწინააღმდეგე ისეთ სახელმწიფოებთან, როგორიცაა ირანი და ვენესუელა, ვაშინგტონისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება. [1] "საგარეო პოლიტიკა, ტრადიციულად, უკავშირდებოდა აშშ-ის ჩართულობას ,,ოკეანის გაღმა" მიმდინარე მოვლენებში - ახლო აღმოსავლეთში, განვითარებად ქვეყნებში, ევროპაში, აზიაში. ამჟამად კი საფრთხე იყო ,,აქ", მის ნაპირებთან. ამერიკის სამოქალაქო ომის ყველაზე სისხლიანი ბრძოლის შემდეგ (1861-1865) არც ერთ სხვა კონფლიქტში ერთ დღეში ამდენი ამერიკელი არ დაღუპულა. ამერიკელებს საფრთხის ასეთი მძაფრი შეგრძნება ცივი ომის დასრულების შემდეგ არ ჰქონიათ".[2]

[1] [ჩიტაძე 2011, გვ. 340]
[2] [ჯენტლესონი 2015, გვ. 551]

აღსანიშნავია აგრეთვე ,,ახლო აღმოსავლეთთან, განსაკუთრებით კი ისლამურ სამყაროსთან მიმართებით აშშ-ის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებისა და ტერორიზმის მჭიდრო უერთიერთკავშირი. ამ ასპექტებს შეადგენს: ირანი 1979 წლის ისლამური ფუნდამენტალისტური რევოლუციის შემდეგ; ერაყი 1990-1991 წლის სპარსეთის ყურის შემდეგ; ურთიერთობები ისეთ არაბულ სახელმწიფოებთან როგორიცაა ეგვიპტე და საუდის არაბეთი, რომლებიც მხარს უჭერენ აშშ-ს საგარეოპოლიტიკას, თუმცა ამავდროულად გამოირჩევიან არასტაბილურობითა და შიდა ოპოზიციით (ბინ ლადენი იყო საუდის არაბეთიდან, ხოლო მისი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი თანამებრძოლი ეგვიპტელი იყო); 1998 წელს საბჭოთა კავშირის ავღანეთში დამარცხების შემდეგ ავღანეთის მიტოვების პრობლემა; არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი“.[3]

ახლო აღმოსავლეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია რომ არის, ამაში ალბათ ყველა დამეთანხმებით. რაც შეეხება უშუალოდ აშშ-ის როლს აღნიშნულ რეგიონში, მოგეხსენებათ, რომ აშშ-ისთვის თურქეთი არის ის იარაღი, რომლის დახმარებითაც შეძლებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის კონფლიქტური ზონები იზოლაციური სიტუაციებიდან გამოიყვანოს. დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში აშშ მარტივად შეძლებს თავისი მიზნების განხორციელებას ახლო აღმოსავლეთში. მიუხედავად თურქეთში პოლიტიკური მოდერნიზაციის დაწყებისა, რომელიც დაიწყო ხელისუფლებაში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლის შემდგომ და რომელიც თავის ერთ-ერთ მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთში თურქეთის ლიდერ სახელმწიფოდ გადაქცევას, სწორედ ამ სიტუაციაში მთავარ პირობას წარმოადგენს შიდა პოლიტიკური სტაბილურობა. თუმცა, თურქეთის სახელმწიფოს შიგნით არსებობს სამთავრობო კურსის საწინააღმდეგო მძლავრი ფაქტორი: ოფიციალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ქურთების უმცირესობის აქტივობა, რომელიც

[3] [ჯენტლესონი 2015, გვ. 557]

მკვეთრად გაძლიერდა სირიის კრიზისის დაწყების შემდეგ. მათმა აქტივობამ მისცა დასაბამი ახალ იმპულსს - ქვეყნის შიგნით მოლაპარაკებათა დაწყებას ქურთებისათვის პოლიტიკურ და განათლების სფეროში უფლებების მისანიჭებლად. ქურთების ფაქტორი თამაშობს უზარმაზარ როლს თურქეთის როგორც საშინაო პოლიტიკაში, ასევე მის ურთიერთობებში მეზობლებთან და ქვეყნის შემდგომი ბედი მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად შეძლებს მისი მთავრობა მოაგვაროს ის სიძნელეები, რომლებიც იგულისხმება „ქურთების საკითხის“ ცნების ქვეშ. ახლო აღმოსავლეთში არსებულ რთულ გამოწვევებთან გამკლავებას უდიდესი მნიშვნელიბა აქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. განსაკუთრებით ტერორიზმის საფრთხის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, რაც თავისთავად გლობალური უსაფრთხოების წინაშე მდგარი სერიოზული გამოწვევაა. რეგიონში კვლავ მიმდინარეობს ისლამური ძალების გაძლიერება. უმდიდრესი ტერორისტული ორგანიზაცია - „ისლამური სახელმწიფო“ (ISIS) - აკონტროლებს ერაყისა და სირიის საკმაოდ დიდ ტერიტორიებს. დღეს არსებული მდგომარეობა უფრო რთულდება რადიკალური მოძრაობის წევრებისათვის საწვავის რესურსების მიწოდებით. მომწოდებლებს შორის არიან საუდის არაბეთი, ეგვიპტე, იემენი, ლიბანი და ქუვეითი.

რეგიონის როლი მსოფლიო პოლიტიკაში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ამას 21-ე საუკუნის გაზისა და ნავთობის პოლიტიკაც მოწმობს და მისადმი ინტერესი დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში არათუ შემცირდება, არამედ უფრო გაიზრდება, რაც ახლო აღმოსავლეთის როლსა და მნიშვნელობას უფრო გაზრდის საერთაშორისო მასშტაბებით.

თავი 2. აშშ-ის სამხედრო ოპერაციები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში

2.1 აშშ-ის ჰუმანიტარული ინტერვენცია სპარსეთის ყურეში

პირველ მსოფლიო ომამდე, ქუვეითი ბასრას (ერაყის პროვინცია) პროვინციის შემადგენლობაში შედიოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებამ მოიტანა მსოფლიოში ტერიტორიების ხელახალი გადანაწილება, რაც ახლო აღმოსავლეთსაც შეეხო და ბრიტანეთის იმპერიის ბრძანებით, ქუვეითი ბასრას პროვინციისაგან გამოყოფილ იქნა. იგი კვლავ ბრიტანეთის კოლონიად რჩებოდა და შემდგომში ოფიციალურად დამოუკიდებელი მონარქია გახდა.

ერაყი ბრიტანეთის ამ გადაწყვეტილებასა და ქუვეითის დამოუკიდებლობას არ ცნობდა, თუმცა 1990 წლამდე, ერაყს რაიმე ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგავს ქუვეითის საწინააღმდეგოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ერაყ-ქუვეითის საზღვარი, მთელი ამ ხნის განმავლობაში, საბოლოოდ ზუსტად გარკვეული არ ყოფილა, რაც პერმანენტული ექსცესების საბაბად რჩებოდა ორივე ქვეყნისათვის.

XX საუკუნის 80-იან წლებში მიმდინარე ირან-ერაყის ომის დასრულების შემდეგ, ერაყი ფინანსური კოლაფსის წინაშე დადგა. მას რამდენიმე არაბული ქვეყნის ვალი ჰქონდა, მათ შორის, მარტო ქუვეითისთვის 80 მილიარდი აშშ-დოლარი მართებდა. ამ ვალის გასტუმრებას ერაყი ნავთობზე ხელოვნურად ფასების გაზრდით იმედოვნებდა, რაც სპარსეთის ყურეში ნავთობის მოპოვების შემცირებით იყო შესაძლებელი. ამის საპირისპიროდ, ქუვეითმა გაზარდა ნავთობის მოპოვება, რასაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ვარდნა მოჰყვა და ერაყი კიდევ უფრო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდა. ქუვეითი თავის მხრივ იმედოვნებდა ერაყისაგან მისი მოთხოვნების შესრულების საპასუხოდ, სადავო სასაზღვრო ტერიტორია მიეღო. გარდა ამისა, ერაყი ბრალს დებდა ქუვეითს შემდეგ ქმედებებში: ირან-ერაყის ომს ამოფარებით ნავთობის არალეგალური გაყიდვით სარგებლობის ნახვაში და ერაყსა

და ქუვეითს შორის სადავო სასაზღვრო ზონაში უკანონო სამხედრო პოსტების აშენებაში. სადამ ჰუსეინის აზრით ერაყმა თავის თავზე აიღო ირანთან ომის მთელი სიმძიმე და არაბული ქვეყნებისათვის ერთგვარი ბუფერული ზონის როლი ითამაშა. სწორედ ამის გამო ქუვეითს და საუდის არაბეთს მინიმუმ ერაყის სამხედრო ვალები უნდა შეემცირებინათ ან სულაც გაეუქმებინათ.

ქუვეითში შეჭრის საბაბად, სადამ ჰუსეინმა გამოიყენა დავა შატალ-არაბის შესართავთან მდებარე დაუსახლებელი კუნძულების ბუბიანისა და ვარბას შესახებ, რომლებსაც ქუვეითი ფლობდა. ერაყს ვიწრო გასასვლელი ჰქონდა ზღვაზე. იქამდე ერაყი პერიოდულად ითხოვდა ქუვეითისაგან ამ დაუსახლებელი კუნძულების დათმობას (დაუზუსტებელი ტერიტორიული კომპენსაციის საფასურად) ან მათ ხანგრძლივვადიან იჯარას. ერაყი ამტკიცებდა, რომ ქუვეითი იპარავდა ნავთობს მისი კუთვნილი რუმაილას ნავთობის საბადოდან. ეს მოგონილ საბაბს წარმოადგენდა. ომის ყველაზე უფრო სავარაუდო მიზეზი რესურსების მსოფლიო ბაზარზე არსებული სიტუაცია იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულ ერაყს ყოველთვის ჰქონდა სუვერენიტეტის პრეტენზია ქუვეითის ტერიტოტიაზე. 1961 წელს, როგორც კი ქუვეითმა ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, ერაყი მაშინვე შეეცადა მიეთვისებინა ეს ტერიტორია, თუმცა ბრიტანული და საუდის არაბული სამხედრო კონტიგენტების ჩასვლამ ქუვეითს დამოუკიდებლობის შენარჩუების საშუალება მისცა. იმისათვის, რათა უზრუნველეყო თავისი შემდგომი უსაფრთხოება, ქუვეითი არაბული ქვეყნების ლიგაში შევიდა. 70-80-იან წლებში ეს პატარა ქვეყანა ძალიან გამდიდრდა ნავთობის მოპოვების ხარჯზე. ფული ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში ჩაიდო. ქუვეითის მოქალაქეთა ცხოვრების დონე ბევრად აღემატებოდა ერაყელთა ცხოვრების დონეს. 1990 წლის 18 ივლისს, ბაღდადმა ოფიციალურად დასდო ბრალი ქუვეითს მოსაზღვრე და სადავო რუმაილას საბადოდან უკანონო ნავთობმოპოვებაში. ქუვეითი ერაყთან მისამართით, საპასუხო ბრალდებებით გამოვიდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქუვეითს

თავიდანვე ჰქონდა საგარეო მხარდაჭერის იმედი. ,,ერაყისა და ქუვეითის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის შეფარდებისას, რომელიც 50:1-თან იყო, ნათლად ჩანს, რომ ჰუსეინს მისი მოწინააღმდეგის ტარაკანივით გაჭყლეტა შეეძლო“.[4] საინტერესოა, რომ ამ კონფლიქტში ერაყს მხარი დაუჭირა მისმა არც თუ დიდი ხნის წინანდელმა მტერმა – ირანმა. შემდგომში, ის თავის ტერიტორიაზე ერაყულ სამხედრო ავიაციას მიიღებს. 1-ელ აგვისტოს, ქალაქ ჯიდში (საუდის არაბეთი), ეგვიპტის პრეზიდენტ ხ. მუბარაქის შუამდგომლობით, ერაყსა და ქუვეითს შორის მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა მოლაპარაკებები დაწყებისთანვე ჩაიშალა. ერაყული მხარის მოთხოვნები ქუვეითის მხრიდან უსასყიდლო მატერიალურ დახმარებასა და ტერიტორიულ დათმობაზე დავიდა. ორივე მხარემ იცოდა, რომ ეს მოთხოვნები შეუსრულებელი იყო.

1990 წლის 2 აგვისტოს, ერაყის სატანკო და ქვეითთა ჯარები შეიჭრნენ ქუვეითში და დაიპყრეს ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები. ერაყის არმიის ხელში გადავიდა მასმედიაზე კონტროლიც. ქუვეითის არმიისათვის ერაყელთა თავდასხმა მოულოდნელი გახდა. არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ეს, რა თქმა უნდა, უფრო მეტი იყო, ვიდრე უცნაური, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება – შეჭრის მომენტში ქუვეითის არმია არ იმყოფებოდა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. ქუვეითის ოკუპაციით ერაყმა დედამიწის ნავთობის მარაგების 1/5-ზე მოიპოვა კონტროლი. თუმცა არსებობდა ალბათობა, რომ სადამი არ დაკმაყოფილდებოდა მიღწეულით და საუდის არაბეთის ოკუპაციასაც შეეცდებოდა.

ქუვეითზე ერაყის თავდასხმის დაწყებისთანავე გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო "რეზოლუცია 660", რომელიც ამ თავდასხმას გმობდა და მოითხოვდა ერაყის მთავრობისაგან ჯარების ქუვეითიდან გაყვანას.

6 აგვისტოს გაერომ მიიღო რეზოლულია 661, რომელშიც დაგმობილი იყო ქუვეითში შეჭრა, და ერაყთან მიმართებაში დაწესებულიქნა ეკონომიკური სანქციები.

[4] [https://cecxli.wordpress.com]

ერაყელები ემუქრებოდნენ საუდის არაბეთს, აშშ-ის სტრატეგიულად კიდევ უფრო მნიშვნელოვან ქვეყანასა და ახლო მოკავშირეს. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა "დაცვითი სახის სამხედრო აქციების" დაწყება განაცხადა, რათა ხელი შეეშალათ ერაყისათვის საუდის არაბეთის ტერიტორიაზე შეჭრილიყო. ამ ოპერაციის კოდური სახელი იყო "Desert Shield", ანუ "უდაბნოს ფარი", რასაც მოჰყვა ქუვეითიდან სადამის განდევნის ოპერაცია ,,უდაბნოს ქარიშხალი". შეიქმნა 27 სახელმწიფოსაგან შემდგარი კოალიცია, რომლის რიგებშიც შედიოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობა, იაპონია, არაბული სამყაროს სახელმწიფოთა დიდი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ კოალიციას საბჭოთა კავშირმაც კი გარკვეული მხარდაჭერა აღმოუჩინა.

3. მუბარაქმა ნება დართო აშშ-ს ეგვიპტის საჰაერო სივრცე გამოეყენებინა. 8 აგვისტოს დაიწყო ოპერაცია „უდაბნოს ფარი" ასევე ამერიკული ჯარებისთვის თავისი სამხედრო ბაზები გახსნენს ესპანეთმა და იტალიამაც.

რაც შეეხება ,,სსრკ"-ს, რომელთანაც ერაყს 1972 წლიდან აკავშირებდა შეთანხმება მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, მისი პოლიტიკა მოცემულ სიტუაციაში საცოდავ სანახაობას წარმოადგენდა. თუკი ყურადღებას არ მივაქცევთ განცხადებებს „საერთოსაკაცობრიო ფასეულობებზე", „სსრკ"-სთვის ხელსაყრელი იქნებოდა ერაყის გამარჯვება, ან, თუნდაც, აშშ-ის ჩათრევა ხანგრძლივ სისხლისმღვრელ კონფლიქტში. ერთის მხრივ, ეს გაზრდიდა ფასებს ნავთობზე, რაც გაამტკიცებდა „სსრკ"-ის პოზიციებს საერთაშორისო არენაზე, ხოლო მეორეს მხრივ კი ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებდა აშშ-ს. თუმცა, საბჭოთა ხელმძღვანელობა, რომელიც ამერიკის კალთაზე იყო გამობმული, შეუდგა სადამის დარწმუნებას დანებებულიყო და მშვიდობით მოეგვარებინა კონფლიქტი. რაც მთავარია, საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა ერაყისთვის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდება". [5]

[5] [https://cecxli.wordpress.com/2014/03/06]

საბოლოოდ, სპარსეთის ყურის ომი აშშ-ის გამარჯვებით დამთავრდა. მისი ლიდერობით, რეგიონში მშვიდობა აღსდგა. მოგეხსენებათ, რომ სამხედრო ოპერაცია ,,უდაბნოს ქარიშხალი", ამერიკის ძალის მნიშვნელოვანი დემონსტრირებაც იყო. ოპერაციის დაწყებამდე, ბევრ სამხედრო ექსპერტს დიდი ოდენობის მოსალოდნელი მსხვერპლი აფიქრებდა და იმასაც შიშობდნენ, რომ სადამი ქიმიურ ან ბიოლოგიურ იარაღსაც გამოიყენებდა. სწრაფმა გამარჯვებამ აშშ-სა და მისი მოკავშირეების მხარეს მცირე მსხვერპლმა შეერთებული შტატების ცალსახა სამხედრო უპირატესობა დაადასტურა. სპარესეთის ყურის ომით აღზევებულმა ამერიკამ აჩვენა, რომ მის ძალას ბადალი არ ჰყავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ომი მხოლოდ ქუვეითის დასახმარებლად არ ყოფილა. საფრთხეში იყო კეთილდღეობაც, ნავთობის სახით, რომელიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ოთხ ძირითად პრინციპთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს. ახლო აღმოსავლეთში მანამდე მომხდარმა ორმა ომმა და არასტაბილურობამ ნავთობის მოწოდება შეაფერხა და ფასები კატასტროფულად გაზარდა. ბევრ ამერიკელს ახსოვდა საწვავის რიგები და ფასების ყოველდღიური მატება 1973 წლის არაბეთ-ისრაელის ომისა და 1979 წლის ირანის რევოლუციის დროს. ამჯერად ამერიკისა და გლობალური ეკონომიკის მომარაგება მნიშვნელოვნად არ შეფერხებულა, რადგან ომი მალე დასრულდა.

ომმა ქუვეითს განადგურებული ეკონომიკა და კატასტროფული ეკოლოგიური სიტუაცია დაუტოვა. ერაყელები ცეცხლს უკიდებდნენ ნავთობის საბადოებს და ნავთობს სპარსეთის ყურეში უშვებდნენ. ომში დაღუპულ ადამიანთა რაოდენობაზე სპეციალისტები დღესაც დავობენ. თავიდან ამერიკელებმა ერაყული ჯარების პირადი შემადგენლობის დანაკარგი 100 ათასი მოკლულით შეაფასეს, თუმცა ეს რიცხვი აშკარად გაზვიადებულია. მათმა მოკავშირე ბრიტანელებმა უფრო მოკრძალებული რიცხვი – 30 ათასი დაასახელეს. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, ამერიკელებმა ტყვედ აიყვანეს დაახლოებით 60 000 დემორალიზებული ერაყელი

ჯარისკაცი. ერაყზე დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, ქვეყანაში შიმშილის დონის ზრდა და ყოველწლიურად დამატებით 90 000-მდე ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. შინ დაბრუნებული ბევრი ამერიკელი მებრძოლი დაავადდა ე.წ. "სპარსეთის ყურის ომის სინდრომით", რომლის გამომწვევი მიზეზიც შეიძლება ყოფილიყო ურანი, ნავთობის წვა და ანთრაქსი.

აკრძალული საჰაერო ზონების შემოღებით, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა კონტროლი დაამყარეს ერაყის საჰაერო სივრცეზე, რაც მათ შემდგომში სამხედრო ოპერაციების "უდაბნოს შეტევის" (1996 წლის სექტემბერი) და "უდაბნოს მელას" (1998 წლის დეკემბერი) განხორციელებისათვის გამოიყენეს. ამ ოპერაციების დროს იბომბებოდა ერაყის სამხედრო ობიექტები.

ერაყში გაიგზავნა გაეროს ინსპექტორთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებსაც ბალისტიკური იარაღი უნდა აღმოეჩინათ და გაენადგურებინათ. ერაყის ბიოლოგიური პროგრამის შესასწავლად და ბიოლოგიური იარაღის აღმოსაჩენად გაგზავნილ იქნა დამკვირვებელთა და ექსპერტთა რამდენიმე ჯგუფი. მათ შორის, ბევრი CIA-ს აგენტიც იყო, რომლებიც ერაყში შპიონაჟს ეწეოდნენ.

სპარსეთის ყურის ომმა ახალი მსოფლიო წესრიგი დაამყარა, ამერიკის მეთაურობით. ამდენად, ამერიკას საკმაოდ ბევრი მიზეზი ჰქონდა იმისათვის რომ ეს ომი მისთვის სასურველი ყოფილიყო და როგორც რობერტ ტაკერი აღნიშნავს თავის წიგნში - „პრეზიდენტს ომი ჰქონდა გულში და მშვიდობას ქადაგებდა ტუჩებით“ და ის რაც წარმოდგენილი იყო როგორც პრეზიდენტის ოცნება, რეალურად მისი ღამის კოშმარი იყო. მას უფრო მეტად ეშინოდა, ვიდრე იმედოვნებდა, რომ ერაყი ქუვეითიდან ჯარს გაიყვანდა. ქუვეითის ანექსიით, სადამ ჰუსეინმა დასავლეთს შესაძლებლობა მისცა ემოქმედათ ერაყის მზარდი საშიშროების წინააღმდეგ . გარდა ამისა, აშშ-მა სპარსეთის ყურის ომით ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გაიმყარა პოზიციები და ასევე მოახდინა თავისი ძალის დემონსტრირება.

2.2 აშშ-ს სამხედრო ოპერაციები ავღანეთსა და ერაყში

21-ე საუკუნე იყო ახალი ეპოქის დასაწყისი, რომელმაც მსოფლიო უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა და დიდი ტრანსფორმაცია მოახდინა საერთაშორისო არენაზე. ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო ახალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც ტერორიზმი ეწოდება.

მას შემდეგ, რაც 2001 წლის 11 სექტემბერს, ისლამური ტერორისტული ქსელის ,,ალ-ქაიდას" მიერ ორგანიზებული უმძიმესი თავდასხმა მოხდა აშშ-ის ქალაქებზე, ნიუ-ორკსა და ვაშინგტონზე. თეთრმა სახლმა დაგეგმა ტერორიზმის მხარდამჭერი რეჟიმების აღმოფხვრა. ტერორიზმის მსხვერპლად კი მალე იქცა სხვა ქვეყნების (დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, თურქეთი) მშვიდობიანი მოსახლეობა, იქ ჩასული ტურისტები. ,,ტერორიზმთან ომი" სავსებით გასაგები და მისაღები რეაქცია იყო მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობისათვის. გაგებით იქნა აღქმული ტერორისტული ქსელის, ე.წ. ,,ალ-ქაიდას" ხელმძღვანელების დევნა ავღანეთის ტერიტორიაზე და მათი მხარდამჭერი თალიბების რეჟიმის დამხობა 2001 წლის ბოლოს.[6]

ყოველივე ამის შემდგომ, 2001 წლის 7 ოქტომბერს, 11 სექტემბრის ტერაქტიდან თითქმის ერთ თვეში, აშშ-სა და ნატოს სამხედრო ძალებმა ავღანეთში ,,ალ-ქაიდას" და ,,თალიბანის" წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს.

ავღანეთის ომი წარმოადგენდა საერთაშორისო კონსესუსის საგანს. აშშ-ის არგუმენტები, რომ მისი მოქმედება ლეგიტიმური თავდაცვის პრინციპებს ეფუძნებოდა, საკმაოდ ძლიერი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 11 სექტმებრამდე, თალიბანის რეჟიმს უარი ეთქვა წარმომადგენლობაზე გაეროში და მას დიპლომატიურად მხოლოდ ორადორი სახელმწიფო აღიარებდა. აშშ-ის სტრატეგიის

[6] [გაჩეჩილაძე, 2008, გვ. 384-385]

ცალკეული საკითი კამათის საგანი გახდა, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ, საერთაშორისო საზოგადოებამ ერთხმად მიიღო. სამხედრო ზომებს მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭომ და აშშ-ის მეთაურობით, გლობალურ კოალიციას შეუერთდა 170-მდე სახელმწიფო. 2001 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ავღანეთის ომის დაწყებით ფაზაზე, სამხედროებმა მნიშვნელოვან მიზნებს მიაღწიეს. თალიბანი სწრაფად დაემხო. ბინ ლადენი გაიქცა. გამოყენებული იყო ბევრი ახალი ტექნოლოგია. სპეციალური დანიშნულების ძალები, რომელთა შემდაგენლობაში იყვნენ ,,მწვანე ბერეტები", სხვა ელიტარული შენაერთები და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს აგენტები, მტრის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ. მათ რთული რელიეფის პირობებში ცხენებზე ამხედრებულებს უწევდათ მოქმედება, თუმცა ტექნოლგიური საშუალებების გამოყენებით ახდენდნენ სამიზნეების იდენტიფიცირებას და ბომბდამშენებისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას. აშშ-ის სამხედრო საავიაციო ძალების ერთ-ერთმა ოფიცერმა ცხენების მეშვეობით ტენოლოგიების გადაადგილების ეს მარტივი ფორმულა შემდეგნაირად ახსნა: ,,21-ე საუკუნის საჰაერო და კოსმოსური ძალები შერწყმული მე-16 საუკუნის ქვეით ჯართან". [7]

ამ და სხვა მიზეზების გამო მოპოვებული გამარჯვება გადამწყვეტი არ აღმოჩნდა. გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ერთობლივმა მოხსნებამ, 2002 წლის ივნისს პრესაში გაჟონა. მოხსენებაში ნათქვამია, ,,რომ ავღანეთში ომმა, აშშ-ს საფრთხე არ შეუმცირა... პირიქით, ომის შედეგად პოტენციური თავდამსხმელების გაცილებით ფართო გეოგრაფიულ არეალში მიმოფანტვის გამო, კონტრტერორისტული ამოცანა შესაძლებელია გართულდა კიდეც". რამდენიმე თვის შემდეგ, ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ძალების მეთაურის, გენერალ ლეიტენანტ დენ მაკნილის პროგნოზის მიხედვით, აშშ-ს კიდევ ორი წელი დასჭირდებოდა „ალ-ქაიდას" გასანადგურებლად და ძლიერი ავღანური

[7] [ჯენტლესონი 2015, გვ. 557]

ჯარის შესაქმნელად, რომელიც არ დაუშვებდა ავღანეთის ტერიტორიის გადაქცევას ტერორისტების თავშესაფრად. ეს წინასწარმეტყველებაც საკმაოდ ოპტიმისტურად ჟღერდა. ,,თალიბანი და ალ-ქაიდა ყველგან არის“ - ზუსტად ასე უთხრა ამერიკის გენერალს ავღანელმა მაღაზიის მეპატრონემ, 2006 წლის მაისს.[8]

აღსანიშნავია, რომ ბევრი ექსპერტი თუ მაღალჩინოსანი, აშშ-ის მოქმედებებს ავღანეთში კრიტიკულად აფასებს. წლების განმავლობაში უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული, განსაკუთრებით, 2009 წლამდე. ერთ-ერთი მთავარი იყო თალიბანის ჯეროვნად ვერ შეფასება - „ჩვენ დაბრმავებულები ვიყავით 2001 და 2002 წლებში მიღწეული წარმატებით და ჩვენ იქ არასაკმარისი ძალები შევიყვანეთ,“ - ამბობს გენერალი იაკობსონი. ძალიან ცოტა თუ იფიქრებდა, რომ თალიბანი მოკლე დროში დაემხობოდა. 2001 წლის ბოლოს, ავღანურმა ძალებმა, ამერიკული ავიაციის მხარდაჭერით, თალიბანის ქაბულიდან განდევნა შეძლეს. თუმცა ყოველივე ამის შემდეგ, თალიბანის და ალ-ქაიდას ლიდერები თორაბორას მთებში გამაგრდნენ, იქიდან პაკისტანში გადავიდნენ.

კორუფციით გაუარესებული და თან ნელი ტემპებით მიმდინარე ეკონომიკური რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონზე, ოპიუმის წარმოება იყო ავღანეთის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სექტორი. აღსანიშნავია, რომ ავღანეთი ოპიუმის მიწოდების მხრივ მსოფლიო ბაზრის 90%-ს უზრუნველყოფდა.

2008 წლის სარჩევნო კამპანიის დროს, ბარაკ ობამამ ავღანეთის ომს მხარი დაუჭირა, ერაყში მიმდინარე ომისაგან განსხვავებით. გაპრეზიდენტების შემდეგ, მან პირველ რიგში, ავღანეთში სამხედრო კონტიგენტის გაზრდა გადაწყვიტა და პოლიტიკის გადახედვაც დაიწყო. ობამამ ავღანეთში დამატებით 30 ათასი ჯარისკაცი გაგზავნა. ასევე, მან აღნიშნა, რომ ეს იყო დროში შეზრუდული მილიტარიზაცია და ავღანეთიდან სამხედრო შენაერთების გამოყვანის დაწყების თარიღად 2011 წლის

[8] [ჯენტლესონი, 2015, გვ. 557-558]

ივლისი დაასახელა, ხოლო ჯარის სრული გამოყვანის თარიღად 2014 წლის ბოლო. ამერიკის თავდაცვის მდივანმა ლეონ პანეტამ თქვა, რომ უსაფრთხოების კუთხით მიღწეული იყო გარკვეული წარმატებები. თუმცა პოლიტიკური მემარცხენეები და რეალისტები აკრიტიკებდნენ ჯარების რაოდენობის გაზრდას ავღანეთში. მათი აზრით, ვერც ერთი სამხედრო სტრატეგია ვერ დაეხმარებოდა აშშ-ს, რათა მიეღწია ავღანეთში იმაზე მეტი წარმატებისთვის ვიდრე ბრიტანელებმა მიაღწიეს მეცხრამეტე საუკუნეში, ან სხვა სახელმწიფოებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს შეეცადნენ ავღანეთის მოთვინიერებას.

ჰამიდ კარზაიას მთავრობასთან ურთიერთობები ამერიკისთვის პრობლემური რჩებოდა. ავღანეთის პრეზიდენტმა აშშ გააკრიტიკა ქვეყანაში არსებული არასტაბილურობისთვის. აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, ლეონ პანეტამ პასუხი არ დააყოვნა და განაცხადა, რომ კარზაი ,,აშშ-ის წინააღმდეგ კრიტიკით გამოსვლის ნაცვლად მადლობელი უნდა ყოფილიყო იმ ამერიკელებისა, რომლებმაც გაიღეს მსხვერპლი, იბრძოლეს და დაიღუპნენ ავღანეთში“.[9]

ამერიკული საზოგადოებრივი აზრი, რომელიც თავიდან მხარს უჭერდა ავღანეთის ომს, ახლა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი. დასაწყისში საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა 80%-ს აღწევდა, ხოლო 2007 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 50%-ზე ოდნავ მეტი ფიქრობდა, რომ ომის წარმოება ღირდა. 2012 წლისათვის კი ომის მოწინააღმდეგეთა რიცხვი 67%-მდე გაიზარდა. ამის ერთი მიზეზი ომისგან დაღლილობა იყო, მეორე კი მზარდი დანაკარგები: ავღანეთის ომს 9 წლის განმავლობაში აშშ-ის მხრიდან 1000 ჯარისკაცი ემსხვერპლა, შემდგომი ორ-ნახევარი წლის განმავლობაში ამ რიცხვმა 2000-ს შეადგინა. ასევე, სტრატეგიული შეფასების დროს მხოლოდ 30% მიიჩნევდა, რომ ომმა ამერიკა გაცილებით უსაფრთხო გახადა. 2012 წლისთვის, გამოკითხულთა 82% ფიქრობდა, რომ ამერიკას ჯარები უნდა გამოეყვანა 2014 წლისთვის დადგენილი ვადის

[9] [გაჩეჩილაძე, 2018]

მიხედვით, ან გაცილებით ადრე. გამოკითხულთა 17% მიიჩნევდა, რომ ამერიკას ავღანეთში უნდა დაეტოვებინა საბრძოლო ქვედანაყოფები 2014 წლის შემდეგაც.[10]

თითქმის 20-წლიანი კონფლიქტის შემდეგ, აშშ-მა განაცხადა, რომ აპირებს ავღანეთიდან გასვლას. ვაშინგტონის ამჟამინდელი ძალისხმევა თალიბებთან სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის შესახებ ხაზს უსვამს მის მოუთმენლობას ავღანეთის გრძელვადიანი ომისადმი და კონფლიქტის დატოვების სურვილს. შეერთებულმა შტატებმა დაკარგა 2400-ზე მეტი ჯარისკაცი 900 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა ომის დროს.

მოგეხსენებათ, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები აქტუალურობას არასოდეს კარგავს. ის დაძაბულობა, რომელიც გამეფებულია რეგიონში, არ არის ერთი დღის ან წლის შედეგი. არსებული კონფლიქტი დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა. ავღანეთის ომის შემდეგ, ვაწყდებით სპარსეთის ყურის მეორე ომს. კონფლიქტი, რომელიც ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ მთავარ კრიზისად არის მიჩნეული და ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. 1990-1991 სპარსეთის ყურის ომი მრავალ ასპექტში წარმატებულად იყო მიჩნეული, მაგრამ სადამ ჰუსეინი ამერიკისთვის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის კვლავ დიდ პრობლემად რჩებოდა.

ერაყი არასოდეს ყოფილა ბუშის პოლიტიკაში უყურადღებოდ მიტოვებული. საპრეზიდენტო კამპანიისას იგი ამტკიცებდა, რომ იქნებოდა მკაცრი ჩრდილოეთ კორეასა და ერაყის მიმართ. იგი ასევე აცხადებდა, რომ თუკი სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღზე მუშაობას გააგრძელებდა, იგი მას მოიშორებდა. ბუშს სჯეროდა, რომ ერაყს კვლავ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღის აქტიური პროგრამები. 2000 წლის საპრეზიდენტო კამპანიისას კონდოლიზა რაისმა ბუშის მომავალი საგარეო პოლიტიკა ერაყის მიმართ აღწერა როგორც ერთგვარი შეკავების კურსი, რომელიც ითვალისწინებდა სადამ ჰუსეინის იზოლირებას, რათა

[10] [ჯენტლესონი 2015, გვ. 560]

მას საფრთხე არ შეექნა მეზობლებისათვის. „თუ ისინი (ერაყელები) შეიძენენ მასობრივი განადგურების იარაღს, მაინც ვერ გამოიყენებენ მას, რადგან ნებისმიერი მცდელობა ეროვნული განადგურების ტოლფასი იქნება“. მან ერაყის იზოლაციაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სადამის ადგილი პოლიტიკაში არაა. რაისმა ნათელჰყო, რომ ერაყში რეჟიმის ცვლილება არ იყო დღის წესრიგიდან მოხსნილი. მისი თქმით, „არაფერი შეიცვლებოდა, სანამ სადამი ქვეყნის სათავეში იდგა... ამერიკის პოლიტიკამ ყველა არსებული საშუალება უნდა გამოიყენოს, მათ შორის ოპოზიციის დაფინანსებაც, ჰუსეინის მოსაშორებლად“.[11]

ინაუგურაციამდე ერთი კვირით ადრე პრეზიდენტი ბუში შეხვდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ ჯორჯ ტენეტსა და მის მოადგილე ჯეიმს პევიტს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მომავალი ვიცე პრეზიდენტი რიჩარდ ჩეინი და მომავალი ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი კონდოლიზა რაისი. ტენეტმა უთხრა დამსწრეებს, რომ ამერიკას სამი სერიოზული საფრთხე ემუქრება. ერთ-ერთი ალ-ქაიდა იყო, რომელიც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა. დანარჩენი ორი კი მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ჩინეთის მზარდი სიძლიერე გახლდათ. ამან ბუშს ეროვნული უსაფრთხოების სამი ძირითადი ფოკუსის აღქმის საშუალება მისცა. მეორე პუნქტი კი პირდაპირ დაუკავშირა ერაყის რეჟიმისაგან მომავალ პოტენციურ საფრთხეს. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, 19 დეკემბერს ბუში შეხვდა ბილ კლინტონს. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ წინასაარჩევნო კამპანიიდან გამომდინარე დაასკვნა – ბუშის მთავარი სადარდებელი ეროვნული სარაკეტო თავდაცვა და ერაყი იყო. ბუშიც დაეთანხმა, მაგრამ კლინტონმა ურჩია, რომ მისი პრიორიტეტები ყოფილიყო – ალ-ქაიდა, ახლო აღმოსავლეთის დიპლომატია, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ აზიაში ბირთვული შეჯიბრი და მხოლოდ შემდეგ ერაყი. 2001 წლის 6 თებერვალს პრეზიდენტმა ბუშმა გამოაცხადა, რომ აშშ განაახლებდა ერაყში ოპოზიციური ძალების დაფინანსებასაც. ეს

[11] [კიკალიშვილი 2015, გვ. 23-24]

პირველი შემთხვევა იყო 1996 წლის შემდეგ, როდესაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის ოპონენტებს ერაყის დატოვება მოუწიათ.[12]

2002 წელს პრეზიდენტმა ბუშმა ,,ბოროტების ღერძის" განადგურების თავისი დოქტრინის თანახმად, მსოფლიოს მტრებად დასახა ის სახელმწიფოები, სადაც მიმდინარეობდა მუშაობა მასობრივი განდგურების იარაღის შესაქმნელად, ისინი ხელს უწყობდნენ საერთაშორისო ტერორიზმს.

ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი ცნობები აქვს საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს. ამ შემთხვევაში გამოვყოფთ ორ დოკუმენტს. პირველი 2002 წლით თარიღდება და მასში დეტალურად არის აღწერილი, რა შესაძლებლობები ჰქონდა სადამ ჰუსეინს წარსულში და რა სახის სამუშაოები ჩაატარეს ინსპექტორებმა. მეორე დოკუმენტი წარმოადგენს მოხსენებას, რომელშიც საუბარია ერაყის მიერ შეძენილ ალუმინის მილებზე. დასკვნის სახით კეთდება შემდეგი: ერაყს სურს ალუმინის მილების გამოყენება, მაგრამ არა მასობრივი განადგურების იარაღისთვის, არამედ რაკეტის გარსისთვის. ორივე ცნობა საყურადღებოა იმ მიზეზით, რომ ისინი ხაზს უსვამენ ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის ფლობის ან მისი პროგრამების არსებობის საეჭვოობას. აღნიშვნის ღირსია 1998 წლის 31 ოქტომბრის პრეზიდენტ ბილ კლინტონის სიტყვა და ნეოკონსერვატორების გავლენით მიღებული „ერაყის თავისუფლების აქტი". დოკუმენტში პრეზიდენტი საუბრობს ერაყთან დიალოგზე. იგი აღნიშნავს, რომ სავსებით შესაძლებელია ერაყის დემოკრატიულ მთავრობასთან ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდეს კეთილმეგობრული ურთიერთობა. თუმცა იგი აქვე ამატებს, რომ, არსებული ხელისუფლების მისწრაფებიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. ჩვენთვის ეს დოკუმენტი იმით არის საინტერესო, რომ სწორედ 1998 წელს შემუშავდა პირველი გეგმა. ამერიკის შეერთებულ შტატებს აქტიური ნაბიჯები უნდა გადაედგა ერაყში დემოკრატიის გასავრცელებლად. მოცემულია კონკრეტული

[12] [კიკალიშვილი 2015, გვ. 24-25]

ნაბიჯები: მასმედიის მხარდაჭერა, ოპოზიციური ჯგუფების დაფინანსება, შესაძლო სამხედრო დახმარების აღმოჩენა და ა.შ.. კონფლიქტის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რამდენიმე რეზოლუციას და უშიშროების საბჭოს დოკუმენტს. ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ 687-ე და 1483-ე რეზოლუციებზე. გაეროს 687-ე რეზოლუცია ითვალისწინებდა სპეციალური კომისიის შედგენას და დაუყოვნებელ ინსპექტირებას ერაყში ქიმიური, ბიოლოგიური იარაღისა და სარაკეტო შესაძლებლობების გამოსაკვლევად. გაეროს 1483-ე რეზოლუციას განსაკუთრებული ღირებულება აქვს. ამ რეზოლუციით ამერიკის შეერთებულ შტატებს მიენიჭა საოკუპაციო ძალის სტატუსი.[13]

2002 წლის 8 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1441-ე დადგენილება, რომლის თანახმადაც ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის საცავების აღმოსაჩენად გაიგზავნებოდნენ ექსპერტები. მაგრამ 4-თვიანმა ინსპექციამ ვერ დაადასტურა მსგავსის არსებობა. ასევე ვერ იპოვეს ბირთვული პროგრამის რაიმე ნიშანი. ბირთვული პროგრამა, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში გაეროს ინსპექტორების მიერ იყო შეჩერებული და იქიდან მოყოლებული სანქციები მოქმედებდა, თვით ჯორჯ ბუშის მიერ დანიშნულმა კომისიამაც ვერ შეძლო მათი პოვნა.

ბუშის ადმინისტრაციამ, საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად მეორე საბაბად ,,ალ-ქაიდასა“ და ერაყის კავშირი დაასახელა. ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობა დააჯერა, რომ ,,9/11“-ის ტერაქტი ერაყიდან მოდიოდა, სინამდვილეში კი ტერორისტები წარმოშობით საუდის არაბეთიდან და ეგვიპტიდან იყვნენ. ბუშის ადმინიტრაცია დიდი დარწმუნებით საუბრობდა ალ-ქაიდასა და ერაყის კავშირის შესახებ. თუმცა ფაქტები საწინააღმდეგოს აჩვენებდა. ყოფილმა სამხედრო პატიმარმა, რომელიც გუანტანამოს ციხეში მუშაობდა და როგორც ფსიქიატრი პატიმართა დაკითხვებს ესწრებოდა,

[13] [კიკალიშვილი, 2015, გვ. 4]

გამომძიებელს უთხრა: ,,უმეტეს დროს ჩვენ ვუთმობდით იმას, რომ დაგვედგინა კავშირი ალ-ქაიდასა და ერაყს შორის, მაგრამ უნაყოფოდ. 11 სექტემბრის კომისისიის დასკვნაშიც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ არ არსებობს ალ-ქაიდასა და სადამ ჰუსეინს შორის ,,ოპერაციული თანამშრომლობის“ დამადასტურებელი რაიმე სამხილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფრაზა: ,,ჩვენ არ გვაქვს რაიმე სანდო სამხილი იმისა, რომ ერაყი მხარს უჭერდა ალ-ქაიდას. თუმცა აშშ-მა და ბრიტანეთმა ისე წარმოადგინეს სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის საფრთხე მსოფლიოსთვის, რომ მისი მოშორება სამხედრო თვალსაზრისით უკვე გადაწყვეტილი იყო.

2003 წლის 19 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შენაერთები შევიდნენ ერაყში. 21 დღის შემდეგ ამერიკულმა ნაწილებმა ფაქტობრივად სრული კონტროლი დაამყარეს ერაყზე. სამხედრო კამპანია დაიწყო, სახელით ,,ერაყის თავისუფლება“. ანტიერაყულ კოალიციაში შედიოდა დაახლოებით 40 ქვეყანა. ამერიკის ძირითადი პარტნიორი იყო დიდი ბრიტანეთი, რომელსაც სათავეში პრემიერ-მინისტრი ტომი ბლერი ედგა. კოალიციაში შედიოდა აგრეთვე ესპანეთი, იტალია, ავსტრალია, ქუვეითი, კატარი, და ა.შ. ,,პოსტ-საბჭოთა სივრციდან“ კოალიციას შეუერთდა საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და უზბეკეთი. მოგვიანებით სომხეთი. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამის ფონზე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, ისევე როგორც გაეროს უშიშროების საბჭო გაყოფილი აღმოჩნდა. აღნიშნული მრავალრიცხოვანი კოალიცია არ იყო ისეთივე ძლიერი და შეკრული, როგორც სპარსეთის ყურის ან ავღანეთის ომის დროს. ამ ომის მოწინაღმდეგეები იყვნენ საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი, თურქეთი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (მათ შორის ამერიკაშიც და ბრიტანეთშიც) იმართებოდა, ,,უკანონო ომის“ საწინააღმდეგო დემონსტრაციები. აღსანიშნავია, რომ თურქეთის პარლამენტმა 2003 წლის პირველ მარტს, აუკრძალა აშშ-ს საჰაერო

სივრცის გამოყენება, რის შემდეგაც ისინი იძულებულნი გახდნენ სუეცის არხის გავლით წასულიყვნენ სპარსეთის ყურეში, რათა სამხრეთიდან შეეტიათ ბაღდადზე.

,,არაბული ქუჩის“ მწვავე რეაქცია ახსნა ცნობილმა პალესტინელმა მწერალმა ნასერ ად-დინ ნაშაშიბიმ ისრაელის გაზეთ ,,The Jerusalem Post“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში: ,,არაბები მხარს უჭერენ სადამ ჰუსეინს არა იმის გამო, რომ მათ დესპოტური მმართველები უყვართ, არამედ იმის გამო, რომ მან ხალხს სიამაყის გრძნობა შესძინა ამერიკასთან [კონფრონტაციაში] არაბული ინტერესების დაცვით... არაბ ხალხს უნდათ დემოკრატია, მათ უნდათ მოდერნიზაცია, მაგრამ არ უნდა ველოდოთ, რომ ისინი თავიანთ საზოგადოებებს 24 საათის განმავლობაში გარდაქმნიან და ისიც ფრთოსანი რაკეტებით დაბომბვის ქვეშ... სადამ ჰუსეინისნაირი ხალხი ხარობს პალესტინელთა გაჭირვებაზე, ისინი აგრეთვე იყენებენ განუვითარებლობის პრობლემას, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებულ დიდ განსხვავებას, მთელი ახლო აღმოსავლეთის განვითარების საჭიროებას. თქვენ რომ ამ პრობლემების, ამ გაჭირვების მოსპობა შეგეძლოთ, მაშინ თქვენ აღმოფხვრიდით სადამისნაირი ხალხის ხელმძღვანელობაში მოსვლის საშუალებასაც“.[14]

მაშინ, როდესაც პოლიტოლოგები ომის წინ მსჯელობდნენ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყებაზე, დიდ ყურადღებას ამახვილებდნენ ერაყის არაჩვეულებრივ ბუნებრივ სიმდიდრეზე. არაბულ ქვეყნებში ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ყოველივე ეს წამოწყებული იყო იქ არსებული ნავთობ რესურსების ხელში ჩაგდებისთვის. ეს ის სიმდიდრეა, რომლისთვის ბრძოლაც მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო წამყვან სახელმწიფოებს შორის.

რაც შეეხება ისრაელს, რომელიც ამერიკისთვის რეგიონში მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს, ეს სახელმწიფო არც მალავდა, რომ მის ინტერესებში იყო არა იმდენად ერაყის ოკუპაცია, არამედ ამ ოპერაციის შემდეგ ირანის მიმართ სანქციების გამკაცრება, რადგან მაშინ არსებობდა ინფორმაცია, რომ ირანი აწარმოებდა

[14] [გაჩეჩილაძე 2008, გვ. 387]

ბირთული ურანის გამდიდრებას. ერაყთან ომის დამთავრების შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა კონცენტრირება მოეხდინათ ირანზე. მისი განცხადებით, ირანი ძალას არ იშურებს, რომ დაეუფლოს მასობრივი განადგურების იარაღს. სამხედრო აქციას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთი, რომლის მხრიდანაც ვეტოს მუქარა ამერიკამ გამოიყენა საბაბად, რათა აღარ გაეტანათ გაეროს უშიშროების საბჭოზე ახალი რეზოლიციის პროექტი, რომლითაც ერაყის წინააღმდეგ ომს საერთაშორისო მხარდაჭერა მიეცემოდა. რის შემდეგაც, მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული სამხედრო ოპერაცია ჩატარდა გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით.

2003 წელს ერაყში ჩატარებულ სამხედრო ოპერაცია დიდი დავის და კრიტიკის საგანი გახდა. თუ 2003 წელს ათი გამოკითხულიდან ექვსი ამართლდებდა ერაყის ომზე დახარჯულ კოლოსალურ თანხებს, 2006 წლისათვის მხოლოდ 42% იზიარებდა ამ აზრს. თავდაპირველად ომის საწყის ეტაპზე თეთრი სახლის ადმინისტრაციას საზოგადოების საკმაოდ მაღალი მხარდაჭერა ჰქონდა-75%, თუმცა ეს მაჩვენებელი შემდეგში 36%-მდე დაეცა.

ომის წამოსაწყებად გამოყენებული ბრალდება ერაყის მიმართ მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ ვერ დადასტურდა ომის დასრულების შემდეგაც. ხოლო ამ არგუმენტის დასაცავად გამოყენებული სამხილები კი ხშირად თითიდან გამოწოვილია. რამდენიმე კვირიანი ბრძოლისა და ბაღდადის წარმატებით დაკავების შემდეგ, აშშ-ის სამხედრო კამპანიის წარმატება საპირისპირო მხარეს წავიდა. ამერიკის სამხედრო ძალები ერთგვარად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ ომის შემდგომი მოვლენებისათვის. მაროდიორებმა გაძარცვეს ერაყის სამთავრობო შენობების უმრავლესობა. ერაყის ეროვნულ მუზეუმში დაცული შეუფასებელი ექსპონატები დაუცველი დარჩა და საბოლოო ჯამში მოიპარეს კიდეც. ერაყი ქაოსში გაეხვა, რადგან ამერიკის მხრიდან საჭირო რაოდენობის სამხედროთა მობილიზება არ განხორციელდა (ცნობილია, რომ რამსფელდის კატეგორიული მოთხოვნა იყო, რაც

შეიძლება ცოტა სამხედრო გამოეყენებინათ ერაყის ომისათვის). ერაყის არმია დაითხოვეს – ისინი ჩვეულებრივ მოქალაქეებში გაითქვიფნენ და დამატებითი საფრთხე შექმნეს. ერაყელები კი გახდნენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის მომსწრენი, მაგრამ ამერიკამ ვერ მოახერხა რაიმე სახის სამთავრობო სისტემის ჩამოყალიბება. გარკვეული პერიოდი წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდებაც კი ვერ აღადგინეს. ამერიკელი სამხედროები გამოცდილი მეამბოხეების მხრიდან თავდასხმების ქვეშ მოექცნენ. სწორედ ამ ქაოსში ერაყში დაიწყო ფუნდამენტური ისლამისტი ლიდერების შესვლა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ტერორისტულ მიმდინარეობებს. ყოველდღიურმა „დაბომბვებმა“ ტალღასავით გადაუარა ერაყს. 2006 წელს რიჩარდ ნორტონი, ჯეიმს ბეიკერის მეთაურობით შექმნილი ერაყის შემსწავლელი ჯგუფის წევრი წერს: „აშშ-ს ისტორიის მიმოხილვისას უკიდურესად რთულია მიაგნო ესოდენ ცუდად ინფორმირებულ და კონტრპროდუქტიულ საპრეზიდენტო გადაწყვეტილებას, ვიდრე ერაყში შეჭრა და ოკუპაციაა“.

აშშ-ის მოსახლეობა და საერთაშორისო საზოგადოებაც თვლიდა, რომ აშშ-ს უნდა გაეყვანა ჯარები ერაყიდან, რადგან ეს უარყოფითად აისახებოდა ამერიკაზე. თუმცა ერაყიდან გამოსვლის ნაცვლად ბუშის ადმინისტრაციამ არსებითად შეცვალა თავისი სტრატეგია და აირჩია სამხედრო კონტიგენტის გაზრდის პოლიტიკა. რაც ითვალისწინებდა იმას, რომ დამატებითი 30 ათასი ჯარისკაცი უნდა გაგზავნილიყო ერაყში. მაგრამ ამანაც ვერ გამოიღო შედეგი და საბოლოოდ ბუშის ადმინისტრაციამ ერაყის ომში კრახი განიცადა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამ ომით ამერიკამ თავისი ეროვნული ინტერესების და საგარეო პოლიტიკის 4 ძირითადი კომპონენტებიდან (ძალა, მშვიდობა, კეთილდღეობა, პრინციპები) ნაწილობრივ, ოთხივედან შედეგი მიიღო ერაყში სამხედრო ინტერვენციით. მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც თანხმდებიან ერთ საკითხზე, რომ სპარსეთის ყურის მეორე ომი მხოლოდ ერაყის გამო არ დაწყებულა, აქ უფრო მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო პოლიტიკაში აშშ-ის როლის განსაზღვრა და როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეს ეხებოდა ეროვნული

ინტერესების ოთხივე განზომილებას. თეთრი სახლში და კერძოდ ბუშის ადმინისტრაციისთვის და მისი მოკავშირეებისათვის ერაყის ომი ოთხეულის ურთიერთთავსებადობის შემთხვევას წარმოადგენდა. ამერიკამ ამ ომით თავისი ძალის დემონსტრირება მოახდინა ახლო აღმოსავლეთში, აგრეთვე ბუშმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აშშ-ს აქვს სათანადო შესაძლებლობები და ნება, დაიცვას საკუთარი ინტერესები და უსაფრთხოება იმ დროს და იმ გზით, რომელიც მას ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნია. რაც შეეხება ეროვნული ინტერესების მეორე კომპონენტს, სადამ ჰუსეინის განადგურებით, აშშ-მა მშვიდობის დამყარების პერსპექტივა განამტკიცა რეგიონში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კეთილდღეობის თვალსაზრისით, მოიგო ყველაზე მეტი ამ ომში. მოგეხსენებათ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, ეკონომიკა და ეკონომიკური ბერკეტები (ნავთობი, გაზი) თამაშობს წამყვან როლს და სწორედ, რომ ბუნებრივი რესურსები, არის დაინტერესების ერთ-ერთი ფაქტორი ამ რეგიონში.

2007 წელს, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ ერთ წელიწადში 160 ათასიდან 130 ათასამდე შეამცირებს ამერიკულ კონტიგენტს ერაყში, საიდანაც უკვე გავიდა ამერიკის მოკავშირეთა ნაწილი. ხოლო 2010 წლის აგვისტოსათვის საბრძოლო მისია ერაყში დასრულდა. 2011 წლის ბოლოსათვის აშშ-ის ჯარები სრულად იქნა გამოყვანილი ერაყიდან. მიუხედავად ამისა, ეს აღმოჩნდა კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება „მოიგო ომი, მაგრამ წააგო მშვიდობა“. ერაყის ტერიტორიის დაკავების შემდეგ აშშ-ის ხელისუფლება წააწყდა უამრავ ახალ პრობლემას, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გადაუჭრელია. ყოველივე ამის შედეგად ჩნდება კითხვაც, იყო თუ არა საერთოდ საჭირო სამხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ.

ბოლო დროს მსოფლიოს სხვა რეგიონების როლი და ფუნქციაც გაიზარდა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთმა წარსულიდან მოყოლებული დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ეს არის რეგიონი, ის უზარმაზარი ტერიტორია, რომლისთვისაც

კონფლიქტები და დაპირისპირებები მომავალშიც გაგრძელდება. მსოფლიო საზოგადოების ფართო სპექტრი აკრიტიკებს აშშ-ის მიერ წარმოებულ ომებს ერაყსა და ავღანეთში, რადგან მათი შეხედულებით ამ ომებს მსოფლიოსთვის, მშვიდობის თვალსაზრისით, არაფერი მოუტანია. ამას კი მოწმობს ინტენსიური და გახშირებული ტერორისტული აქტები მსოფლიოს დიდ ქალაქებში, როგორიცაა პარიზი, სტამბული, ანკარა და ა.შ.

თავი 3. არაბული გაზაფხული

3.1. გადატრიალება თუ აშშ-ს „რბილი ძალის“ შედეგები

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო საერთაშორისო თუ გეოპოლიტიკურ არენაზე წამყვან ძალად მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები მოგვევლინა. ისევე როგორც მსოფლიო ასევე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის განმსაზღვრელი სწორედ ეს სახელმწიფო გახდა. აშშ ცდილობს მშვიდობა და დემოკრატიული ღირებულებები დაამკვიდროს რასაც თან ახლავს ანტიამერიკული პროპაგანდები და გამოსვლები. ასევე საკმაოდ გაძლიერდა ფუნდამენტური, რადიკალური მიმდინარეობები, რომლებიც მიისწრაფვიან ახლო აღმოსავლეთი ისლამურ სამყაროდ აქციონ, რასაც თავისთავად უპირისპირდება დასავლური ღირებულებები, რაც კიდევ უფრო მეტ დაპირისპირებას და კონფლიქტებს იწვევს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

2011 წლის დრამატულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა, რომლებმაც მოგვიანებით „არაბული გაზაფხულის“ სახელწოდება მიიღო და თითქმის მთელი არაბული სამყარო მოიცვა. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეგიონის ახალი პოლიტიკური სისტემების ფორმირებაზე. „არაბულმა გაზაფხულმა“ მმართველი რეჟიმების შეცვლა გამოიწვია ტუნისსა და ეგვიპტეში. კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ წარმართულ ამბოხებას კი ნატოს ფართომასშტაბიანი სამხედრო ჩარევა მოჰყვა; შედეგად, ლიბიაშიც შეიცვალა მთავრობა. ალი აბდულა სალეჰმა, როგორც იქნა, უარი თქვა ძალაუფლებაზე იემენში. მუბარაქი პასუხისგებაში იყო მიცემული, ხოლო კადაფი მოკლული, ბენ ალი კი საუდის არაბეთს აფარებდა თავს. მაგრამ ის მმართველი ელიტები, რომლებიც მათ შექმნეს, სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც მათ ჩამოაყალიბეს, ისევ არსებობს. სირიაში დაძაბულობა მატულობს და ორივე მხრიდან სისასტიკე არნახულ მასშტაბებს იძენს. ფაქტია, რომ რეგიონის მონარქები თუ მმართველები კვლავაც არ არიან მზად რეფორმების

დასაწყებად. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც უკვე შეიცვალა რეჟიმი, ფუნდამენტური ცვლილებები ჯერაც ვერ განხორციელდა და კვლავ არამდგრადი ვითარებაა.

იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებულად ან წარუმატებლად ითვლება „არაბული გაზაფხული“, და რამდენად დადებითად შეიძლება შეფასდეს პოსტ-რევოლუციური პერიოდი ახლო აღმოსავლეთში, მკვლევარები ორ ჯგუფად იყოფიან. ნაწილი მიიჩნევს, რომ მოქმედი ავტორიტარული მმართველები, გრძელვადიან პერსპექტივაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაინც გააგრძელებენ დომინირებას რეგიონის შიდა პოლიტიკურ სტრუქტურებში. ცალკეული პირები შესაძლოა შეიცვალონ, მაგრამ ავტორიტარული მმართველობის სტრუქტურის შიდა უმრავლესობა ხელშეუხებელი რჩება. მეორე ნაწილი შედარებით ოპტიმისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ მთელს რეგიონში ავტორიტარული სისტემის დესტაბილიზაცია მოხდა, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა. ერთადერთი, რაზეც ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში ყველა ერთხმად თანხმდება, არის ის ფაქტი, რომ დღეს ბევრი რამ განსხვავდება იმისგან, რაც იყო 2010 წელს.

უნდა აღინიშნოს ამავე დროს ის ქვეყნები, სადაც ,,რევოლუციის ტალღას“ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა მოჰყვა, მაგალითად ბენ ალის რეჟიმი ტუნისში, ჰოსნი მუბარაქისა ეგვიპტეში და მუამარ კადაფის ლიბიაში. ამ ქვეყნებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შიდა პოლიტიკური ელიტების კონფლიქტებმა ითამაშა. ტუნისში ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას არმიასა და სადაზვერვო სამსახურს შორის, რომელიც ბენ ალის დასაყრდენს წარმოადგენდა და რომლის პერსონალის რაოდენობამ მისი მმართველობის განმავლობაში თითქმის ოთხჯერ გადააჭარბა არმიის რაოდენობას. ამან ერთგვარად დაარღვია არაბული სამყაროს ძალთა ტრადიციული ბალანსი და არმია ხელისუფლებას ჩამოშორდა. შესაძლოა, ამით აიხსნას პრეზიდენტისგან განდგომა და სამხედროების უარი, დაეცვათ ბენ ალი. ტუნისში დაწყებული მღელვარება მასობრივ აქციებში გადაიზარდა და მალევე თითქმის მთელი არაბული სამყარო მოიცვა.

რაც შეეხება ეგვიპტეს, ეგვიპტის შემთხვევაში აშკარად შეინიშნებოდა კონფლიქტი სამხედრო ელიტასა და ეკონომიკურ ელიტას შორის. ყოველივე ამან გამოიწვია ეგვიპტელ გენერლებსა და გამალი აბდელ ნასერის მომხრეებს შორის კონფლიქტის გაღვივება (გამალის პარტნიორებს ძირითადად ქვეყნის მინისტრები ან მინისტრთა მოადგილეები შეადგენდნენ). ეგვიპტელი დემონსტრანტების სლოგანები ნათლად აჩვენებდა, რომ უკმაყოფილების მთავარი მიზეზი არა სოციალური საკითხები, არამედ პოლიტიკური იყო და პრეზიდენტ მუბარაქის რეჟიმთან იყო დაკავშირებული. ეგვიპტური რევოლუცია თავდაპირველად ლიბერალ-დემოკრატიული მოთხოვნებით მიმდინარეობდა ახალგაზრდების მიერ, რომლებიც ბოლო წლებში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ.

არც ლიბიაში მიმდინარე პროცესები წარმოადგენს განსხვავებულს. ლიბიაში ადგილი ჰქონდა შიდა ტომობრივ კონფლიქტებს. განსაკუთრებით ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის ტომებს შორის. ეს უკანასკნელნი მიიჩნევდნენ, რომ კადაფის მმართველობის პირობებში არ გააჩნდათ ადეკვატური პოლიტიკური აქტივობის საშუალება. ლიბიის ნავთობის მთავარი საბადოები ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მეორეს მხრივ, ლიბიამ თავის თავზე გამოსცადა გაეროსა და არაბული ლიგის უკიდურესი ზომები, რომლებსაც შემდეგ ლიბიის კონფლიქტში ნატოს სამხედრო ჩარევა და დესტაბილიზაციის დასრულება მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ არაბული გაზაფხულის ქვეყნებს შორის ლიბია საუკეთესოდ ახდენს სუსტი ქვეყნის პრობლემის ილუსტრაციას. ქვეყანაში უკვე საკმაო ხანია, რაც დაემხო მუამარ კადაფის დიქტატორული, რეპრესიული რეჟიმი. მაგრამ ამჯერად არანაკლებ მტკივნეულად განიცდის მმართველობის ნაკლებობას ან საერთოდ არქონას. განსაკუთრებით მწვავედ დგას კანონის უზენაესობის საკითხი. ლიბიის შემთხვევაში იმის გადაჭრით თქმა ჯერაც შეუძლებელია, დაუბრუნდება ქვეყანა სამოქალაქო ომის მდგომარეობას თუ მოახერხებს გარდამავალი პერიოდის სტაბილურად გადატანას. ის ფაქტი, რომ ლიბიას დღეს არშემდგარი სახელმწიფოს ყველა ნიშანი გააჩნია,

დაადასტურა როგორც რეჟიმის შეცვლის გზამ, ისე შემდგომ პოლიტიკოსთა და სამხედრო მეთაურების მოქმედებებმაც. როდესაც კადაფი მოკლეს, მან ლიბიის მოსახლეობას გაუმართავი სახელმწიფო დაუტოვა მემკვიდრეობად, სუსტი სახელისუფლებო ინსტიტუტებით. ისტორიული მემკვიდრეობისა და ნატოს მიერ განხორციელებული ქმედების წყალობით პოსტკადაფისეული რეჟიმს ძალზედ მცირე შესაძლებლობები აღმოაჩნდა მოვლენების სამართავად.

იემენში მოვლენები შედარებით განსხვავებულად წარიმართა, პირველ რიგში იემენური საზოგადოების ტომობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე. ამ ქვეყანაში რეჟიმმა ვერ შეძლო ამბოხებულების დაშოშმინება და ამასთან, ვერ მოხერხდა რეჟიმის შეცვლაც. მართალია ალი აბდულა სალეჰი აღარაა ხელისუფლების სათავეში, მაგრამ მისი ვაჟები კვლავ იკავებენ ხელისუფლებაში საკვანძო ადგილებს. ლიბანში ამბოხებულებს ძირითადად პოლიტიკური მოთხოვნები ჰქონდათ. ისინი ითხოვდნენ ჰეზბოლას განიარაღებასა და რადიკალურ პოლიტიკურ რეფორმებს, რაც გულისხმობს ლიბანის საკმაოდ „არქაული“ კონფესიური პოლიტიკური სისტემიდან შედარებით „თანამედროვეზე“გადასვლას.

ანალოგიური ვითარება შეინიშნებოდა ალჟირშიც. იმ განსხვავებით, რომ მღელვარება აქ გამოწვეული იყო უპირველესად სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. ამ შემთხვევაში ამბოხებას ბიძგი მისცა 2011 წლის იანვარში პროდუქტებზე ფასების ზრდამ. საერთო შეფასებით, პრეზიდენტი აბდელაზიზ ბოუთეფლიკა ნაკლებად დაცული აღმოჩნდა სხვა არაბული ქვეყნების ლიდერებისგან განსხვავებით, რამდენადაც მას არ ჰყავს შვილები და შესაბამისად მემკვიდრედ დასაყრდენი ქვეყანაში.

ქუვეითში ოპოზიცია, რომელსაც ძირითადად ახალგაზრდები უჭერდნენ მხარს, ითხოვდა და მიაღწია კიდეც პრემიერ-მინისტრის გადაყენებას, რომელიც კორუფციაში იყო მხილებული. შედეგად, მღელვარება ჩაცხრა. ომანში კი ოპოზიციის ძირითადი მოთხოვნები ეკონომიკური ხასიათის იყო. საპროტესტო გამოსვლები

ომანში სხვა არაბულ ქვეყნებში (ტუნისი, ეგვიპტე, ლიბია, მეზობელი ბაჰრეინი) განვითარებული მოვლენების შედეგად დაიწყო.

რაც შეეხება ერაყს, იმ საპროტესტო ტალღას, რაც ქვეყანაში ეგვიპტისა და ტუნისის მოვლენების შემდეგ გაჩნდა, არ გამოუწვევია ერაყში პოლიტიკური სისტემის ცვლილებები. აქ უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი დაკავშირებულია ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, უსაფრთხოების სისტემასთან და კორუფციის მაღალ მაჩვენებელთან. თუმცა, ქვეყანაში სიტუაციის უფრო დაძაბულ ფაზაში გადასვლის საფრთხე ჯერაც არსებობს. მითუმეტეს, რომ ერაყზე გავლენას ახდენს სირიაში არსებული მდგომარეობაც.

სირიაში არეულობები გაცილებით გვიან დაიწყო. ,,არაბულმა გაზაფხულმა" ყველაზე დიდი არეულობა სწორედ აქ გამოიწვია, რომელზეც ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებთ.

მოგეხსენებათ, რომ ,,არაბული გაზაფხული" გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს და ამ საკითხზე დავა დღესაც გრძელდება. ბევრი ექსპერტი თუ მკვლევარი მიიჩნევს, რომ რევოლუციები მოხდა მხოლოდ რომელიმე ერთი ფაქტორის გამო. მათი შეხედულებით აღნიშნული რევოლუციები გამოიწვია მხოლოდ შიდა ვითარებამ ან მხოლოდ საერთაშორისო სისტემაში განვითარებულმა მოვლენებმა. ყველა ფაქტორის თანხვედრამ განაპირობა ის, რომ არაბმა მოსახლეობამ, შეძლო გამოეხატა საკუთარი აზრი და რევოლუციების გზით შეეცვალათ დიქტატორული რეჟიმები რეგიონის ქვეყნებში.

ექსპერტების აზრით, არაბული გაზაფხულის გამომწვევ მიზეზთაგან ერთ-ერთ ფაქტორად სახელდება აშშ-ს როლი. კერძოდ ის, რომ ობამას ადმინისტრაციამ მიატოვა ჰოსნი მუბარაქი და ეს კარგად ჩანდა ბარაკ ობამას მიერ კაიროში წარმოთქმულ სიტყვაში. ობამას გამოსვლის შემდეგ არაბმა მოსახლეობამ იგრძნო, რომ აშშ-ის ახალი, დემოკრატი ხელისუფლება მათ შიდასახელმწიფოებრივ საკითხებში აღარ ჩაერეოდა. ეს ფაქტორი საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ვერ

ვიტყვით, რომ მხოლოდ ამან დაანთო ცეცხლი ახლო აღმოსავლეთში. საზოგადოების ამხელა პროტესტის გამოსახატავად აუცილებელი იყო უფრო მნიშვნელოვანი მიზეზები. რა თქმა უნდა აშშ-ის ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხალხის ქუჩებში გამოსაყვანად, თუმცა რომ არა ქვეყანაში არსებული შიდა პრობლემებიც, მხოლოდ საგარეო ფაქტორების არსებობით არაბ მოსახლეობას არ გაუღვივდებოდა პროტესტის გრძნობა. შიდა ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ სხვადასხვა სახის პრობლემებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაში და ამავე დროს ,,აშშ-ის რბილი ძალის პოლიტიკამაც" გზა გაუხსნა არაბ მოსახლეობას.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის გავლენიანი პოლიტიკოსები და მედიაც აღფთოვანებით მიესალმა ტუნისსა და ეგვიპტეში სახელმწიფო გადატრიალებებს, როდესაც ლიბერალური დემოკრატიული პრინციპების სახელით ახალგაზრდების მიერ მოწყობილმა რევოლუციამ მთელი რეგიონი მოიცვა. აშშ ოფიციალურად უჭერდა მხარს დემონსტრანტების მოთხოვნებს, ხოტბას ასხამდა ,,თავისუფლების",, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების", ,,წარმომადგენლობითი მთავრობის" და ,,ჭეშმარიტი დემოკრატიის" ხმამაღალ მოწოდებას და ამბობდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვა რევოლუციის მარცხი. მაგრამ გზა დემოკრატიისკენ უაღრესად ძნელი და მძიმე აღმოჩნდა როგორც ავტოკრატიული რეჟიმის დაცემიდან მალევე გამოაშკარავდა.[15]

ყველა არაბული ქვეყნის მაგალითში ჩანს, რომ კაპიტალიზმი რომელიც გამეფებული იყო ამ ქვეყნებში სარგებელს აძლევდა მხოლოდ მმართველ უმცირესობას. მაგალითად ეგვიპტეში არსებობდა ორი ფენა: ძალიან მდიდრები და უკიდურესად ღარიბები. ღარიბი მოსახლეობის საარსებო თანხა კი დღეში დაახლოებით 1-2 დოლარს შეადგენდა. არაბულ ქვეყნებში დაბალ და ელიტურ ფენებში ყვაოდა კორუფცია და ნეპოტიზმი, რაც კიდევ უფრო დიდ პრობლემებს

[15] [კისინჯერი, 2020, გვ. 176]

უქმნიდა ეკონომიკას. ტუნისში საინვესტიციო გარიგებები არ ხდებოდა სამეფო ოჯახის ჩაურევლად.

აღსანიშნავია, რომ სხვა მიზეზებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშე ასევე არაბულ ქვეყნებში არსებულმა ეკონომიკურმა პრობლემებმა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშში კარგად ჩანს, რომ არაბულ ქვეყნებში 2011 წელს ფიქსირდება ყველაზე ცუდი ეკონომიკური მონაცემები უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში. მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2011 წლის მაჩვენებლით არაბულ ქვეყნებში დაეცა 7 % მდე, 2008 წლიდან 2011-მდე ეს მონაცემი შემცირდა 15 % -ით, რაც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ცუდი მაჩვენებელია. უმუშევრობის დონე 2011 წლისთვის გაიზარდა 3-4 %-ით, ხოლო მთლიანი ფიქსირებული სახალხო კაპიტალის რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 15 %-ით. როგორც ამ მონაცემებიდანაც ჩანს, „არაბულ გაზაფხულს“ ხელს უწყობდა ქვეყნის შიგნით არსებული საკმაოდ დაძაბული ეკონომიკური ვითარება.

,,არაბული გაზაფხული“ ეს იყოს ის გამოძახილი რეგიონში, რომელიც აშშ-ს და დასავლეთს სჭირდებოდა, რათა ცეცხლი დაენთოთ და დაეწყოთ დემოკრატიული პროცესები რეგიონში. სწორედ ამიტომაც, აქტიურად იყო ჩართული აშშ ,,არაბული გაზაფხულის“ გაღვივებაში და ცდილობდა რევოლუციების ესკალაციას რეგიონის ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს, რომ „არაბულმა გაზაფხულმა“ განსხვავებული გავლენა იქონია ცალკეულ არაბულ ქვეყნებზე. გამომდინარე აქედან, ამ ქვეყნებს სამ კატეგორიად აჯგუფებენ. პირველი მოიცავს რეგიონის ყველაზე დიდ ნაწილს და წარმოადგენს იმ ქვეყნებს, რომლებშიც ფაქტიურად არაფერი შეცვლილა. მეორე კატეგორიაში შედიან ქვეყნები, სადაც, შეიძლება ითქვას, თანაბრად იყვნენ როგორც ცვლილების მომხრეები ანუ ამბოხებულები, ისე რეჟიმის დამცველები. ამ ბალანსმა გამოიწვია სწორედ სამოქალაქო ომი. და მესამე კატეგორია - ის ქვეყნები, სადაც შედარებით მშვიდობიანად მოხდა რეჟიმის შეცვლა. ყოველივე აქედან გამომდინარე

ვერ ვიტყვით, რომ აშშ ,,არაბული გაზაფხულით“ წაგებული დარჩა, პირიქით ბევრი მოიგო და საკუთარი პოზიციები რეგიონში უფრო გაამყარა. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ამერიკისთვის ახლო აღმოსავლეთში ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენს ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ისრაელი, თურქეთი, ქუვეითი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე და ბაჰრეინი. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც აშშ-ს მიმართ მეტად ლოიალურად და მეგობრულად არიან განწყობილნი. ყოველივე ამაში კი მოგეხსენებათ, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ,,არაბულმა გაზაფხულმა“ მითუმეტეს, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც აღნიშნულმა რევოლუციებმა დიდი გარდატეხა მოახდინა.

3.2 სირიის კონფლიქტი

სამოქალაქო ომი სირიაში ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების ძალებსა და მათ ოპოზიციურ ძალებს შორის 2011 წლის 15 მარტს საპროტესტო აქციებით დაიწყო, რომელიც აპრილისათვის უკვე მთელ ქვეყანაში გავრცელდა. ეს აქციები უფრო ფართო ახლო აღმოსავლური საპროტესტო მოძრაობის ნაწილი იყო, რომელიც არაბული გაზაფხულის სახელით არის ცნობილი. დემონსტრანტები მოითხოვდნენ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის გადადგომას, რომლის ოჯახიც მართავდა სირიას 1971 წლიდან, ასევე ბაასის პარტიის მმართველობის დასრულებას, რომელიც დაიწყო 1963 წელს. სამოქალაქო ომში უამრავი ფრონტი იყო გახსნილი, რომელთაც ერთმანეთთან დაპირისპირებული უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები ამაგრებდნენ. სამოქალაქო ომი აქტიურ ფაზაში შევიდა მაშინ, როდესაც 2011 წლის აპრილში, სირიის არმია გამოვიდა აჯანყების ჩასახშობად და ცეცხლი გაუხსნეს დემონსტრანტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. რამდენიმე თვიანი სამხედრო დაპირისპირების შემდეგ, პროტესტი გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში. აღსანიშნავია, რომ შეტაკებები მიმდინარეობდა ქვეყნის ბევრ ქალაქებში. ამის

პარალელურად თურქეთისა და ერაყის გავლით სირიაში მასობრივი ჩამოსვლა დაიწყეს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მცხოვრებმა ჯიჰადისტებმა და უერთდებოდნენ აჯანყებულებს.

სირიის რევოლუცია, თავიდან, ტაჰირის მოედანზე ეგვიპტური აჯანყების გამეორებას ჰგავდა. მაგრამ განსხვავება ამ ორს შორის არის ის, რომ ეგვიპტის ამბოხმა გააერთიანა მის საფუძველში არსებული ძალები, სირიაში კი ისევ იჩინა თავი უხსოვარი დროიდან მოყოლებულმა დაპირისპირებამ და თავიდან ააგიზგიზა შიიზმსა და სუნიზმს შორის არსებული ათასწლოვანი კონფლიქტი.

სირიაში არეულობები გაცილებით გვიან დაიწყო. ,,არაბულმა გაზაფხულმა“ ყველაზე დიდი არეულობა სწორედ აქ გამოიწვია. სირია ანომალიას წარმოადგენს არაბული სამყაროს სუნიტების მიერ დომინირებად პოლიტიკაში. მაშინ, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობას სუნიტები წარმოადგენენ, ქვეყანას თითქმის ნახევარი საუკუნეა ასადის შიიტურ-ალავიტური ოჯახი მართავს. ალავიტები კი მოსახლეობის 12%-ს შეადგენენ.

2015 წლის შემოდგომაზე ირანის, ერაყის, რუსეთისა და ასადის რეჟიმის მონაწილეობით ყალიბდება კოალიცია ,,დაეშის“ წინააღმდეგ. რუსეთი იწყებს საჰაერო შეტევებს, რომელიც ,,დაეშზე“ მეტად სირიის ოპოზიციის წინააღმდეგ არის მიმართული. რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ სირიაში და აშშ-ის ყოყმანმა ჩართულიყო კონფლიქტში, მოსკოვს ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი მოთამაშის როლი მიანიჭა. ვიქტორია ნულანდი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ამბობს, რომ შეერთებულმა შტატებმა ახლო აღმოსავლეთში წამყვანი როლი უნდა დაიბრუნოს - ,,ამერიკას ნათლად არ გამოუხატავს საკუთარი მიზნები რამდენად სურს მას ტრადიციული როლის თამაში, რუსებმა დაინახეს ახალი შესაძლებლობა და ახლა ის არის დამბალანსებლის როლში სირიაში მაინც. ეს არის ქვეყანა, რომელთანაც ისრაელი მიდის, როდესაც ირანის ქმედებების კონტროლი სურს, იორდანია როცა სამხრეთის ფრონტზე დევნილების საკითხის

მოგვარებაზე საუბრობს. ამიტომ რუსეთი კარგ პოზიციაშია, თუმცა მათ იგივე გაკვეთილი მიიღეს რაც ავღანეთში. ეს ძალზე ძვირი ჯდება, მითუმეტეს, როცა ფინანსურად ისინი საუკეთესო სიტუაციაში არ არიან. რუსეთი ცდილობს გავლენის და ძალის აღდგენას და ამასთან ეშინია რეჟიმების ცვლილების. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ისტორიული კავშირები. ადგილზე მყოფი 2200 სამხედრო, რაც ძალიან ცოტაა ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, ასევე გამოვიყენოთ ის პროგრესი, რაც ერაყში მოვიპოვეთ, რათა აღვადგინოთ ჩვენი ისტორიული როლი და ვიმუშაოთ იმაზე, რომ ფინალი ერაყში, სირიაში, იემენში, ლიბიაში იქნება ღია, იქნება მოქალაქეების მეტი ჩართულობით და სტაბილურობით. ხელი უნდა შევუშალოთ ირანს, რომელსაც რუსეთი გავლენის იარაღად იყენებს წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში რუსეთი გახდება არბიტრი. ახლო აღმოსავლეთი საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს წამყვან ძალებს შორის დაპირისპირების ველს წარმოადგენდა. მოსკოვის ჩართვამ სირიის კონფლიქტში ასადის რეჟიმი დამხობას გადააჩინა. კრემლი ცდილობს ამერიკის მოდუნებული ყურადღების ფონზე რეგიონში საკუთარი გავლენა გაზარდოს“.

სამოქალაქო ომი მთელ ქვეყანაში გავრცელდა. მასში საგარეო ძალებიც ჩაერივნენ. ომის მსვლელობისას სახელმწიფოს ნიშნები შეიძინა ,,დაეშმა“. სირიის კრიზისი, პრინცპულად მნიშვნელოვანი პროცესია თურქეთისათვის ახლო აღმოსავლეთში, საიდანაც ის შეეცდება მიიღოს მაქსიმალური პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტიები. ანკარის პოტენციური ამოცანები შემდეგია: თავისი, როგორც რეგიონალური ლიდერის ამბიციების დამტკიცება აქტიური მოქმედებებით, რაც არ გამორიცხავს თუნდაც სამხედრო ჩარევას. ის აგრეთვე შეეცდება თურქული მოდელის ექსპორტს სირიაში ასადის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ასევე თავისი სტატუსის დამტკიცებას როგორც აშშ-ის ძირითადი მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში. სირიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ირანის ისლამურ რესპუბლიკას მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვს: ოფიციალური თეირანი მხარს უჭერს ბაშარ-

ალ-ასადის რეჟიმს და სირიელ ხალხს და მიიჩნევს, რომ სირიაში მიმდინარე პროცესები პოლიტიკური გზით, გარე ძალების ჩარევის გარეშე უნდა მოგვარდეს. ამას რეალური საფუძველი გააჩნია, რადგან რეგიონში ირანის ერთადერთ მოკავშირეს სწორედ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი წარმოადგენს, რომელსაც პოლიტიკური იზოლაციის პირობებში ირანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სირიის მოქმედი ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში, ირანი კარგავს არამარტო სტრატეგიულ მოკავშირეს რეგიონში, არამედ დერეფანს მეორე მოკავშირე ლიბანის „ჰეზბოლასთან" და ირღვევა ე.წ. „წინააღმეგობის ხაზი სიონისტურ რეჟიმთან", რაც დასავლეთს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ირანთან დაპირისპირებას. აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში სირიაში აშშ-ის სამხედრო ინტერვენციის საფრთხესთან ერთად, თეირანმა ბაშარ ალ ასადის მხარდაჭერა კიდევ უფრო გააქტიურა. ირანი, სავარუდოდ, აქტიურად გააგრძელებს სირიის ხელისუფლების მხარდაჭერას. სირიის საკითხი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ირანსა და დასავლეთს შორის დაგეგმილ სხვადასხვა ფორმატის მოლაპარაკებებში (ირანი და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; ირანი და „ექვსეული") და ასევე, ჰასან როუჰანის გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიაზე გამოსვლასა და ოფიციალურ შეხვედრებზე. ირანის ისლამური რესპულიკის მთავრობა ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს დიპლომატიური რესურსი მოკავშირე ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მხარდასაჭერად.

სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დაწყებიდან ექვსი წლის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ პირველი პირდაპირი სამხედრო იერიში მიიტანა სირიის სამთავრობო ძალების პოზიციებზე, საერთაშორისო მედიაში მომწიფდა აზრი, თითქოს ტრამპის საგარეო პოლიტიკამ მასობრივად იცვალა ხასიათი და თუ აქამდე მსოფლიოს საქმეებიდან მის განცალკევებას ველოდით „America First" რიტორიკით, დღეს უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ ისეთ პრეზიდენტზე, რომელიც აქტიურად ერევა საერთაშორისო პოლიტიკაში. როგორც პრეზიდენტმა

ტრამპმა განაცხადა, სამხედრო იერიშის მიზეზი გახდა სირიის ხელისუფლების მიერ საკუთარი მოქალაქეების მიმართ აჯანყებულთა კონტროლირებად ტერიტორიაზე ქიმიური იარაღის გამოყენება, რომელსაც ათეულობით ადამიანი ემსხვერპლა.

აშშ-ის თავდასხმამ სირიის სამხედრო ბაზაზე, ჰომსის პროვინციაში, როგორც ამერიკის ასევე საერთაშორისო საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ტრამპის ეს გადაწყვეტილება იყო ძალის დემონსტრირება სირიაში, აგრეთვე ის, რომ არ აპირებს ობამას მსგავსი უხერხემლო პოლიტიკის გატარებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და ამით ხაზს უსვამს, რომ ამერიკა კვლავ სუპერ სახელმწიფოა, რომელიც სირიაში მიმდინარე მოვლენებს თავის მხრივ დაალაგებს.

,,კონფლიქტში ჩართული სირიელი და რეგონული მოთამაშეებისთვის ომი დემოკრატიისთვის კი არ ხდებოდა, არამედ უპირატესობის მოსაპოვებლად, დემოკრატია მხოლოდ იმდენად აინტერესებდათ, რამდენადაც იგი მათ დაჯგუფებას ძალაუფლება მოაპოვებინებდა; არც ერთ მონაწილე მხარეს არ ადარდებდა სახელმწიფო წესრიგი, რომელიც მათ არ მიანდობდა პოლიტიკური სისტემის გაკონტროლებას. პარტიათა უმეტესობისთვის წარმოუდგენელი იყო, ომი წამოეწყოთ ადამიანის უფლებათა ნორმების დასაცავად, თუკი გეოსტრატეგიული და გეორელიგიური შედეგები არ იქნებოდა გათვლილი.[16]

არსებობდა მოლოდინები, რომ რევოლუცია კულმინაციას მიაღწევდა ასადის რეჟიმის დამხობით და რომ მას ჩაანაცვლებდა დემოკრატიული, ინკლუზიური კოალიციური მთავრობა. ეს გახლდათ ობამას პოზიცია 2011 წლის აგვისტოში, როდესაც მან საჯაროდ მოუწოდა ასადს გზა დაეთმო სირიელი ხალხისთვის, რათა მათ თავად გადაეწყვიტათ საკუთარი მომავალი: „სირიის მომავალი მისმა მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ პრეზიდენტი ბაშარ ალ ასადი მას გზას უხერგავს. მის მიერ დიალოგისა და რეფორმების მოთხოვნა არადამაჯერებლად

[16] [კისინჯერი 2020, გვ. 183]

ისმის, რადგან პარალელურად აპატიმებს, აწამებს და ანადგურებს საკუთარ ხალხს. ჩველ ყოველთვის ვამბობდით-პრეზიდენტი ასადი ან სათავეში ჩაუდგება დემოკრატიულ გარდაქმნას ან გზიდან ჩამიგვეცლება. იგი სათავეში არ ჩაუდგა გარდაქმნებს. დადგა პრეზიდენტი ასადს გადადგომის დრო სირიის მოსახლეობის სასიკეთოდ“. ობამას ამ განცხადებით არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით უნდა მომხდარიყო ასადის მოწინააღმდეგეების მობილიზება, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერაც უნდა განმტკიცებულიყო მისი რეჟიმის დასამხობად.

აშშ-ს სხვა შანსი არ ჰქონდა და მას ასადის წინააღმდეგ საჰაერო დარტყმები უნდა განეხორციელებინა. სირიაში მომხდარ ვითარებაზე ამერიკა თუ თვალს დახუჭავდა, მისთვის როგორც სუპერ სახელმწიფოსთვის გამანადგურეელი დარტყმა იქნებოდა, განსაკუთრებით კი ტრამპისთვის, რომელიც სირიაში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას განსაკუთრებული კრიტიკით გამოირჩეოდა. აქედან გამომდინარე, ეს გადაწყვეტრილება, პირველ რიგში, აშშ-ის სახელის და რეპუტაციის გადარჩენას ემსახურებოდა.

მას შემდეგ, რაც ტრამპის ადმინისტრაციამ სირიიდან გამოიყვანა ამერიკული სამხედროები და თურქეთს დაუთმო ასპარეზი, აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ბრძანებით აშშ-ის არმიამ საჰაერო იერიში მიიტანა სირიის აღმოსავლეთში მდებარე ობიექტებზე, რომლებსაც პენტაგონის ინფორმაციით, ირანის მიერ მხარდაჭერილი შეიარაღებული დაჯგუფებები იყენებდნენ. ბაიდენის ბრძანებით ჩატარებული ოპერაცია იყო პასუხი ერაყში მყოფ ამერიკულ და კოალიციურ ძალებზე მომხდარ თავდასხმაზე. პენტაგონის განცხადების მიხედვით, იერიშები იყო პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ცხადი გზავნილი, რომ აშშ ერაყში თავის ინტერესებს და იქ მყოფ სამხედროებს დაიცავდა. პენტაგონის განცხადებაში 2021 წლის 28 ივნისის თავდასხმა დახასიათებული არის, როგორ თავდაცვითი ნაბიჯი და დაჯგუფებების ქმედებების წინასწარ აღკვეთისთვის საჭირო საშუალება.

უნდა აღინიშნოს ასევე მიმდინარე წლის 29 ივნისს განვითარებული მოვლენები, რომლის თანახმადაც სირიაში აშშ-ის სამხედრო ძალების წინააღმდეგ სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს. ინფორმაციას CNN ავრცელებს აშშ-ის პოლკოვნიკზე დაყრდნობით. სირიაში აშშ-ის მისიის წარმომადგენლის განცხადებით ავია-იერიშის შედეგად დაშავებული არავინაა. პოლკოვნიკ უინ მაროტოს არ დაუკონკრეტებია თუ ვინ არის პასუხისმგებელი სარაკეტო თავდასხმაზე.

სირიის მომავალი ბუნდოვანია. სირიის კრიზისზე ექსპერტების და მკვლევრების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. არავის შეუძლია წინასწარ განსაზღვროს სირიის მომავალი. წლებია უკვე სირიაში დაძაბულობა არა თუ იკლებს, არამედ აქტიურ ფაზაში შედის. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ეს დაძაბულობა და მცირე შეტაკებები თუ ავია-იერიშები ისევ მასშტაბურ დაპირისპირებაში გადავიდეს.

თავი 4. აშშ-ირანის თანამედროვე ურთიერთობები

ურთიერთობები ირანსა და აშშ-ს შორის მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება. თუმცა ურთიერთობები ამ ორ სახელმწიფოს შორის აქტიურ ფაზაში შედის მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და გრძელდება 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე, რომლითაც გააძევეს პროამერიკული შაჰი და ჩაანაცვლეს ანტიამერიკული უმაღლესი ლიდერით, აიათოლა ხომეინით.

ცივი ომის საფრთხეებისა და რეგიონალური კონფლიქტების ფონზე, XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იან წლებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა ისრაელმა, ეგვიპტემ და ერაყმა აქტიურად დაიწყეს ბირთვული პროგრამის განხორციელება. ბუნებრივია, რეგიონის ისეთი ლიდერი და ამბიციური სახელმწიფო (რომელსაც რეგიონის ჰეგემონობაზე გააჩნდა პრეტენზია), როგორიც ირანი იყო, მოვლენებს მიღმა არ დარჩებოდა. ირანში ბირთვული ენერგიის პროგრამა თავდაპირველად შეერთებული შტატების ხელშეწყობით მხოლოდ სამეცნიერო კვლევების დონეზე ამოქმედდა. ბუნებრივია, ირანს სურდა ბირთვული პროგრამა არა მარტო საკვლევი, არამედ სხვა მიზნებისათვის გამოეყენებინა.

აშშ-ირანის ურთიერთობები აქტიურ ფაზაში შედის 2005 წლიდან. მას შემდეგ, რაც ირანის პრეზიდენტი გახდა მაჰმუდ აჰმადინეჟადი. პოპულისტი ლიდერის პრეტენზიულმა სტილმა გამოიწვია ირანის ურთიერთობების გაუარესება დასავლეთთან. ირანი კვლავაც განაგრძობდა ბირთულ პროგრამაზე მუშაობას, თუმცა აღსანიშნავია, რომ ირანელი სახელმწიფო მეთაურების განცხადებით ბირთული პროგრამა არ ემსახურებოდა სამხედრო მიზნებს და ამ პროგრამის განხორციელების სრული უფლება ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა და საერთაშორისო თანამეგობრობამ ბევრჯერ გააფრთხილა აჰმადინეჟადი, რათა შეეწყვიტა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა, მან აშშ-ს და გაეროს გაფრთხილება არაფრად ჩააგდო. რის შემდეგაც, ბირთული იარაღის წარმოების გამო გაერთიანებული ერების ორგნიზაციამ აშშ–ის თაოსნობით ირანის ისლამურ რესპუბლიკას სანქციები დაუწესა

2006 წლის დეკემბერში, რომლითაც აიკრძალა ირანში გარკვეული სახის მასალებისა და მოწყობილობების შეტანა. საბანკო ანგარიშები გაეყინათ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ბირთვული იარაღის წარმოებასთან ირანში. ხოლო 2010 წლის ივნისში გაეროს უშიშროების საბჭომ ამავე საკითხზე კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო, რომლითაც გაამკაცრა სანქციები ირანისთვის. გარდა ამისა გაეროს უშიშროების საბჭომ 2013 წლის 5 ივნისს მიიღო რეზოლუცია, რომლითაც 2014 წლის 9 ივლისამდე გახანგრძლივდა ექსპერტთა ჯგუფის მანდატი, რომლებიც ირანისთვის დაწესებული სანქციების რეჟიმის დაცვას აკვირდებოდნენ.[17]

მოგეხსენბათ, რომ ირანის ბირთვული პროგრამა ბოლო ათწლეულის მანძილზე რეგიონის უსაფრთხოების ყველაზე დიდ გამოწვევად აღიქმებოდა და დასავლეთში მას ყოველთვის ისე უყურებდნენ, როგორც ისრაელის სახელმწიფოებრიობის პირდაპირ საფრთხეს. 2006 წლიდან მოყოლებული ამერიკის შეერთხებული შტატები და ევროკავშირი 5+1 ფორმატით ცდილობდნენ ირანთან ბირთვული პროგრამის საკითხზე მოლაპარაკებას. ამ ფორმატში მონაწილეობს გაეროს უშიშროები საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი (საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი, ბრიტანეთი და აშშ და გერმანია). ირანის წინა პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის დროს ეს მოლაპრაკებები ჩიხში იყო შესული. პრეზიდენტი პერმანენტულად ემუქრებოდა ისრაელს განადგურებით, მთელს მუსლიმურ სამყაროს მოუწოდებდა ამერიკის წინააღმდეგ გაერთიანებას და ხელს უშლიდა ორმხრივი ურთიერთობების ყველა მცდელობას. თუმცა ირანის ახალი პრეზიდენტის, ჰასან როუჰანის მოსვლამ გარკვეული იმედები გააჩინა, რომლებიც, როგორც ვხედავთ, გამართლდა. სწორედ ობამასა და ჰასან რუჰანს შორის შედგა პირველი სატელეფონო საუბარი 20 წლის შემდეგ, სადაც როგორც ობამამ თქვა, მათ გამოხატეს მზადყოფნა ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო მიმდინარე დავის მოგვარებისათვის. ამ ფონზე ირანის

[17] [http://blog.fdclub.ge/]

ბირთვული პროგრამის შეჩერების საკითხს ხელი შეერთებული შტატების, რუსეთის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ევროკავშირის პირველმა დიპლომატებმა მოაწერეს. თუმცა ცნობილია, რომ ირანი ვალდებულებას იღებს, არ აწარმოოს და სხვა სახით არ მოიპოვოს ბირთვული იარაღი, ასევე 15 წლით უარი თქვას ბირთვული მასალების მარაგის 98%-ზე და ურანის გასამდიდრებელი მოწყობილობების ორ მესამედზე. სანაცვლოდ, უქმდება თეირანის წინააღმდეგ მოქმედი საერთაშორისო და ცალმხრივი სანქციების უდიდესი ნაწილი - მათ შორის, ნავთობის ექსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სფეროში. თუმცა, მანამდე ირანმა თავის ობიექტებზე ატომური სააგენტოს ინსპექტორები უნდა დაუშვას. ხუთ წელიწადში ირანს იარაღის ემბარგოც უნდა მოეხსნას. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ირანის ახალი პრეზიდენტის ჰასან როუჰანის მოსვლის შემდეგ იწყება თეირანსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების დათბობა.

ირანის მთავრობის დელეგაციის ვიზიტისას ნიუ-ორკში, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი, ვიზიტის დასასრულს, ირანის დელეგაციის აეროპორტისკენ წასვლის შემდეგ მოხდა - ირანის პრეზიდენტ ჰასან რუჰანისა და აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას შორის სატელეფონო საუბარი შედგა. საუბარი 15 წუთს გაგრძელდა და მისი მთავარი თემა ირანის ბირთვული პროგრამა იყო. ორივე მხარემ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების უახლოეს მომავალში გადაწყვეტის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური სესიის ფარგლებში ჰასან რუჰანისა და ბარაკ ობამას შეხვედრა ,,ვერ მოხერხდა“ ორი ქვეყნის „ურთიერთობებში“ ერთგვარი გარღვევა მაინც დაფიქსირდა: პირველად, 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, ირანისა და აშშ-ის პრეზიდენტებს შორის ოფიციალური სატელეფონო საუბარი შედგა. სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია ირანში ახალი მთავრობის პირველ მასშტაბურ საგარეო ვიზიტზე განსხვავებული რეაქციები. აშშ-დან ირანში დაბრუნებულ ჰასან რუჰანის აეროპორტში საპროტესტო აქცია დახვდა,

რომელზეც ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო ხალხმა პრეზიდენტს კვერცხები და ფეხსაცმელები დაუშინა. ამის შემდეგ, ქვეყანაში პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური კურსით უკმაყოფილო რადიკალური ფენის, ძირითადად, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის წარმომადგენელთა კომენტარებიც ცნობილი გახდა. ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მეთაურმა მოჰამად ალი ჯაფარიმ, ჰასან რუჰანისა და ბარაკ ობამას სატელეფონო საუბარი „ტაქტიკურ შეცდომად“ შეაფასა, რომლის გამოსწორებაც შეიძლება. მან ირანის მთავრობას მოუწოდა, დაელოდოს აშშ-ისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, მათ შორის, ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გაუქმებას.

ბარაკ ობამა შეთანხმებით კმაყოფილია და მას ისტორიულს უწოდებს, თუმცა ამ შეთანხმების წინააღმდეგია ისრაელი და საუდის არაბეთიც. ისრაელის პრემიერმინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, ამ შეთანხმებით ირანს ბირთვული იარაღისკენ გზა გაეხსნა. მეცნიერების მინისტრის დენი დანონის განცხადებით კი, ეს შეთანხმება არა მხოლოდ ცუდია ისრაელისთვის, არამედ სახიფათოა მთელი თავისუფალი მსოფლიოსთვის. ირანის პრეზიდენტი ჰასან როუჰანი, ირანული ტელევიზიით გამოსვლისას მიესალმა ჟენევაში მიღწეულ შეთანხმებას. როგორც ჩანს, მოლაპარაკებას მხარი დაუჭირა ირანის უზენაესმა ლიდერმა, აიათოლა ალ ხამენეიმ.

უნდა აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული ძალების გააქტიურება გავლენას ახდენს არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მსოფლიო უსაფრთხოებაზე. თეირანი ინტენსიურად აჟღერებს თავის პოზიციას რეგიონში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და პრეტენზია აქვს რეგიონის ლიდერობაზეც. ყოველივე ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა 2013 წლიდან, ჰასან როუჰანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ და დასავლეთთან ურთიერთობების დარეგულირების დაწყების ფონზე. ირანის ისლამური რესპუბლიკა ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის ხაზგასმით და ბირთვული პროგრამის მოლაპარაკებების

პარალელურად, ცდილობს დასავლეთთან ურთიერთობების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტექსტი გამოკვეთოს. ამ მხრივ კი ირანის მთავარ ობიექტს აშშ წარმოადგენს, რომელიც რეგიონს გარეთა აქტორებიდან ყველაზე აქტიურად არის ჩართული ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში.

ირანსა და აშშ-ს შორის რეგიონულ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ არაოფიციალური ინფორმაციები წლების განმავლობაში ვრცელდება. 2015 წელს ირანსა და „5+1 ჯგუფის“ ქვეყნებს შორის ბირთვულ პროგრამაზე მიმდინარე ინტენსიური მოლაპარაკებების ფონზე და მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის შემდეგ თეირანმა ოფიციალურად გაუგზავნა „მესიჯი“ ვაშინგტონს რეგიონულ საკითხებში თანამშრომლობის შესაძლებლობაზე. 2015 წლის 20 აპრილს NEW YORK TIMES-ში გამოქვეყნდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯავად ზარიფის სტატია „გზავნილი ირანისგან“. ავტორი თვლის, რომ ირანის ბირთვულ პროგრამაზე მოსალოდნელი შეთანხმების განმტკიცებისთვის მხარეთა მიერ უფრო მეტი პოლიტიკური სურვილია საჭირო. ირანმა კი უკვე აჩვენა თავისი გადაწყვეტილება და აირჩია ჩართულობის და მოქნილობის პოლიტიკა. ირანელი დიპლომატი მოუწოდებს აშშ-ს და მის დასავლელ პარტნიორებს გააკეთონ არჩევანი თანამშრომლობასა და კონფრონტაციას, მოლაპარაკებებსა და ლოზუნგებს, შეთანხმებასა და იძულების ტაქტიკას შორის. აღნიშნული მოწოდების შემდეგ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ხაზს უსვამს სპარსეთის ყურის რეგიონში არსებულ არეულობას, რომელიც არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნების მთავრობების შეცვლის ჭრილი მიმდინარეობს, არამედ საფრთხეს უქმნის ცალკეულ ქვეყნებში სოციალური, კულტურული და რელიგიური სტრუქტურებს. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, ირანი ვერ იქნება უმოქმედო გარშემო შექმნილი არეულობებისადმი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ქაოსი საზღვრებს არ სცნობს. ირანისთვის მეზობლებთან კარგი ურთიერთობა პრიორიტეტულია.[18]

[18] [ბაშელეიშვილი 2016, გვ. 224-227]

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ირანსა და აშშ–ს შორის მრავალ საკითხთან დაკავშირებით არსებობს დავა, თუმცა ამ ფონზე გრძელდება ამ ორ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებები. ირანის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძირითადად, შიიტური მთავრობების მხარდაჭერას ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, ირანის ინტერესები უმეტესად ეწინააღმდეგება აშშ-ს ინტერესებს. ირანსა და აშშ-ს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია აქვთ ასადის რეჟიმთან დაკავშირებით. თუმცა ისინი ერთად ეხმარებოდნენ ერაყის მთავრობას „ისლამური სახალიფოს“ წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ერაყს ამერიკის გეოპოლიტიკაში დიდი როლი უჭირავს, რაც განპირობებულია ბუნებრივი რესურსების დიდ მარაგით. რეგიონის მნიშვნელობას რა თქმა უნდა განსაზღვრავს ირანთან და ერაყთან სიახლოვე. ამ მხრივ აღსანიშნავია აშშ-ის დაინტერესება რეგიონის მიმართ, რადგან აშშ-სა და ირანს შორის ბირთვული პროგრამის პარალელურად, ეს ორი ქვეყანა იბრძვის ერაყში საკუთარი გავლენის გაძლიერებისათვის.

რაც შეეხება სირიის საკითხს, პრეზიდენტი ბაშარ ასადი ირანის სტრატეგიული მოკავშირეა რეგიონში. აშშ-ის ოფიციალური პირების წარმომადგენელთა ინფორმაციით, სწორედ სირიის საშუალებით ამარაგებს ირანი „ჰეზბოლას“ და უპირისპირდება ისრაელს. „ჰეზბოლა“ კი თავის მხრივ, წარმოადგენს ირანის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს ისრაელის წინააღმდეგ.

კიდევ ერთი ახალი დაპირისპირების კერა რეგიონში ირანსა და დასავლეთის ინტერესებისთვის იემენია, სადაც მოვლენები რეალურად ირანისა და საუდის არაბეთის მეტოქეობის ჭრილში მიმდინარეობს. აშშ-ის კონგრესის 2015 წლის აპრილის ანგარიშის მიხედვით, იემენისა და სპარსეთის ყურის საბჭოს ქვეყნების განცხადებით, ირანი დიდი ხანია იემენის დესტაბილიზაციას ცდილობდა: ხელს უწყობდა „ჰუტების“ მოძრაობას , ამარაგებდა იარაღით. „ჰუტების“ წარმატება იემენში 2015 წლის გაზაფხულზე არის რეგიონში ირანის გავლენის დამადასტურებელი. ამ მოვლენების ფონზე კი აშკარად გამოიკვეთა ირანისა და

საუდის არაბეთის ინტერესთა კონფლიქტი. საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ადელ ალ-ჯუ ბეირმა ოფიციალურად დაადანაშაულა ირანი იემენში, სირიასა, ერაყსა და ლიბანში, ტერორიზმის მხარდაჭერაში, რაც ასატანი აღარ არის. ირანსა და საუდის არაბეთს შორის დიპლომატიური დაძაბულობა იემენში საუდის არაბეთის სამხედრო ჩარევის შედეგად კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა - საუდის არაბეთის ელჩი ირანში რამდენჯერმე საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს. საუდის არაბეთის აღნიშნული პოზიციის საპასუხოდ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა თეირანის მიერ სირიის, ერაყის, იემენის ძლიერი მხარდაჭერის გაგრძელებას. საგარეო საკითხებში ირანის სულიერი ლიდერის წარმომადგენლის ალი აქბარ ველაიათის ინფორმაციით, კი ირანი თავისი ტრადიციული მოკავშირეების გვერდით იქნება.[19]

მას შემდგ, რაც აშშ–ის პრეზიდენტი გახდა დონალნდ ტრამპი, ურთიერთობებმა აშშ-სა და ირანს შორის სახე იცვალა. მოგეხსენებათ, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ,,რესპუბლიკელმა“ ტრამპა, ობამას მიერ ირანთან დადებულ ბირთვულ ხელშეკრულებას უწოდა ,,კატასტროფა“ და ,,ყველაზე ცუდი შეთანხმება, რაც კი ოდესმე დადებულა“. მან ასევე აღნიშნა, რომ ძნელი იქნება გაუქმება შეთანხმებისა, რომელიც დაცულია გაერო–ს რეზოლუციით. ტრამპის ამ განცხადებას კი დიდი მღელვარება მოჰყვა ირანის მხრიდან. ირანის თავდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევამ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მშვიდობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა და მან გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა, რომ ომი ისრაელს და სპარსეთის ყურის მცირე არაბულ სახელმწიფოებს გაანადგურებს.

აშშ-ის და ირანის ისედაც გამწვავებული ურთიერთობა ერაყში ამერიკული სამხედრო ბაზის სარაკეტო დაბომბვის შედეგად ამერიკელი კონტრაქტორის დაღუპვის შემდეგ გამწვავდა. ვაშინგტონმა დაბომბვას დაბომბითვე უპასუხა, რასაც

[19] [ბაშელეიშვილი, 2016, გვ. 13]

ირანისგან მხარდაჭერილი შიიტური სამხედრო დაჯგუფება კატაიფ ჰესბოლას 25 მებრძოლი ემსხვრპლა. ამის შემდგე ერაყში დემონსტრანტები აშშ-ის საელჩოში შეიჭრნენ, რასაც შეერთებული შტატებისგან საპასუხო რეაგირება მოჰყვა. ბაღდადის აეროპორტში აშშ-ის ავია-იერიშის შედეგად მოხდა ირანელი გავლენიანი გენერლის ყასემ სოლეიმანის და ერაყის შიიტური მილიციის ლიდერის აბუ მაჰდი ალ მუჰანდისის ლიკვიდაცია. ირანელი გენერლის ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციას მოჰყვა საპროტესტო აქციები და გამოსვლები თეირანში აშშ-ის წინააღმდეგ. თეირანისაგან მუქარის შემცველი გზავნილები ისმოდა, არც კომპრომისი არც დანებება. „ებრძოლეთ აშშ-ს“ - ასე სკანდირებდნენ საკულტო გენერლის ყასემ სოლეიმანის მკვლელობის შემდეგ გაღიზიანებული ირანელები ქვეყნის დედაქალაქში. აღსანიშნავია, რომ ირანელი გენერალი გახლდა ახლო აღმოსავლეთში ირანის სამხედრო გავლენის ზრდის მთავარი არქიტექტორი. ყასემ სოლეიმანი ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა ალ ხამენეის უშუალო დაქვემდებარებაში იყო და მის უახლოეს თანამოაზრედ მიიჩნეოდა.

,,უნდა იცოდეთ რომ მე ყასემ სულეიმანი ვაკონტროლებ ერაყში ლიბანში ღაზასა და ავღანეთში ირანის პოლიტიკას“ - ასე განუცხადა ერთხელ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელს დევიდ პეტრეუსს გენერალმა სოლეიმანმა. ახლო აღმოსავლეთში ირანის პოლიტიკის მთავარი შემოქმედი და ირანისგან მხარდაჭერილი შიიტური ღერძის მთავარი ზურგი, რომელიც ასევე ეხმარებოდა ბაშარ ასადს სირიის ომში. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით უწოდებდა აშშ ირანელ გენერალს და მის სამხედრო ძალებს ტერორისტებს. ყასემ სოლეიმანი უშუალოდ დონალდ ტრამპის ბრძანებით მოკლეს. აშშ-ის პრეზიდენტი სოლეიმანს ასობით ამერიკელის გარდაცვალებაში სდებდა ბრალს. ,,ჩვენ არ ვეძებთ ომს ირანთან, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია განზე დგომა და ყურება თუ როგორ აგდებს ამერიკელების სიცოცხლეს საფრთხეში. ვიმედოვნებ, რომ ირანის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება იქნება დეესკალაცია და

განახორციელებენ ქმედებებს, რაც შეესაბამება ნორმალურ ერებს. თუ ისინი სხვა მიმართულებით წავლენ, მე ვიცი, რომ პრეზიდენტი ტრამპი და ამერიკის მთელი მთავრობა მზად არის სათანადო რეაგირებისთვის“.

ერაყში ირანელი გენერლის მკვლელობამ ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა შეერთებულ შტატებსა და ერაყს შორის. ერაყის პარლამენტმა კოალიციური ჯარების ქვეყნიდან გასვლა მოითხოვა, რასაც ტრამპის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ირანმაც არ დააყოვნა და შეერთებულ შტატების სამხედრო ბაზებზე ერაყში ავია-იერიშები მიიტანა. ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული გამწვავებული ურთიერთობა სამხედრო კონფრონტაციის ზღვარზე მივიდა. მსოფლიო ლიდერები თეირანს და ვაშინგტონს რადიკალური ნაბიჯებისგან თავშეკავებას სთხოვენ, თუმცა ირანის პირველი პირებისგან მუქარის შემცველი გზავნილები არ წყდება.

მას შემდეგ, რაც აშშ-ის ახალი პრეზიდენტი გახდა ჯო ბაიდენი, საშინაო თუ საგარეო ფრონტზე აქტიურად დაიწყო მუშაობა. ირანმაც მიიღო საპასუხო ზომები და ბირთვული შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევით, ურანის გამდიდრება დაჩქარებული ტემპებით დაიწყო. ირანს ატომური ბომბის შესაქმნელად საჭირო 90%-იანი გამდიდრების დონემდე ჯერ კიდევ ბევრი აქვს დარჩენილი, მაგრამ შეთანხმებით გათვალისწინებული 3.67%-დან ირანი ჯერ 20%-იან ზღვარზე ავიდა და ახლა 60%-იან ნიშნულსაც უახლოვდება. არსებობს ვარაუდი და ექსპერტებიც მიიჩნევენ, რომ ჯერ არ არის ირანი ბირთვული იარაღის შექმნის ბოლო მომენტამდე, პიკამდე მისული, მაგრამ პროცესი იმდენად დაჩქარებულია, რომ უკან შეთანხმებულ დონეებზე დაბრუნება ვეღარ მოხდება და მეორე, ამ ეტაპზე შეჩერების პირობებშიც კი თეორიულად ატომური ბომბის შექმნა რეალურად უფრო სწრაფად მოხდება, ვიდრე შეთანხმების დროს მოიაზრებოდა. "ვიდრე აქ ვარ, ირანს ატომური იარაღი არასდროს ექნება" - უთხრა ჯო ბაიდენმა თეთრ სახლში სტუმრად მყოფ ისრაელის პრეზიდენტს რუვენ რივლინს. ამერიკის პრეზიდენტის ამ განცხადებას ერთი დღით წინ უსწრებდა ვაშინგტონის

მიერ მიტანილი იერიში, ირანის მხარდაჭერით სირია-ერაყის საზღვარზე მოქმედი ძალების იარაღის საწყობებზე. აღსანიშნავია, რომ იერიში ავსტრიაში მიმდინარე მოლაპარაკების ფონზე მოხდა. ირანი და მსოფლიოს 6 სახელმწიფო, რომელთა შორის შეერთებული შტატებიც არის, ცდილობენ ირანის ბირთვული პროგრამის შემზღუდველი 2015 წლის საერთაშორისო შეთანხმების განახლებას.

2021 წლის 18 ივნისს ირანმა პრეზიდენტად ულტრაკონსერვატორი ებრაჰიმ რაისი აირჩია. მისი ბიოგრაფია ცხადყოფს თუ როგორ პოლიტიკას გაატარებს ქვეყნის შიგნით და მის გარეთ პრეზიდენტი რაისი მას შემდეგ, რაც აგვისტოში ოფიციალურად შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას. ებრაჰიმ რაისი ერთ-ერთი იყო „სიკვდილის კომისიის“ იმ ოთხი წევრიდან, რომელთაც 1988 წელს 5 ათასზე მეტი ოპოზიციონერისა და აქტივისტის მკვლელობასა და გაუჩინარებაში ედებათ ბრალი;

თავი 5. კვლევა - უნდა გავიდეს თუ არა აშშ-ის სამხედრო ძალები ავღანეთიდან?

მოგეხსენებათ, რომ ვაშინგტონმა თალიბანთან სამშვიდობო შეთანხმებას ხელი 2020 წლის თებერვალში მოაწერა. წინა ადმინისტრაციის პირობებში პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის დროს დადებული შეთანხმების მიხედვით, ამერიკა ავღანეთიდან ჯარებს გაიყვანდა, თალიბები კი პირობას დებდნენ, რომ არ შეიფარებდნენ მებრძოლებს, რომლებსაც შეერთებულ შტატებზე იერიშის მიტანა შეეძლოთ. ამერიკის გრძელი ომი სიმბოლურად დასრულდება 2021 წლის 11 სექტემბრამდე. მიუხედავად ამისა, უცხოური ჯარების წასვლა არ ნიშნავს ავღანეთის კონფლიქტის დასრულებას. შიდა-ავღანეთის მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიდმინარეობს, ბრძოლა გრძელდება ავღანეთის უსაფრთხოების ძალებსა და თალიბებს შორის, ავღანელი მშვიდობიანი მოსახლეობა კი ნერვიულად ელის მათი ქვეყნის ბედს. ბაიდენის ადმინისტრაციამ, გააცნობიერა, რომ აშშ-ს სამხედრო ყოფნა არ არის პასუხი ავღანეთში ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად, გადაწყვიტა აშკარად დაარღვიოს წინა სტრატეგია უპირობოდ გაყვანის ვადის გამოყენებით. ავღანეთიდან საგარეო ძალების გაყვანას უკვე სერიოზული გავლენა აქვს შიდა ავღანეთის მოლაპარაკებების ბედზე, მმართველობასა და უსაფრთხოებაზე, ტერორიზმზე, რეგიონულ დინამიკაში, დიდი ძალაუფლების კონკურენციაზე, ადამიანის უფლებებზე, ჰუმანიტარულ საკითხებზე და განვითარებაზე, რომელთანაც შეერთებული შტატები, პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ერთად, მზად უნდა იყოს გამკლავებისთვის. „შეერთებულ შტატებს მათი მთავრობის დახმარების გზით, მხოლოდ ავღანეთის უსაფრთხოების ძალების, ავღანელი ხალხისთვის რესურსების და შესაძლებლობების მიწოდების, წვრთნის და მათი ძალების აღჭურვის საშუალება აქვს" - განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა. ჯეიკ სალივანის თქმით, "ჩვენ ამას

ვაკეთებდით, მაგრამ ახლა დადგა დრო, ამერიკის ჯარები შინ დაბრუნდნენ, ავღანელმა ხალხმა კი მათი ადგილი დაიკავოს და დაიცვას საკუთარი ქვეყანა".[20]

ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, თუ რა მოხდება ავღანეთში მას შემდეგ, რაც ქვეყანას შეერთებული შტატების ძალები დატოვებენ. ამასთან, ბაიდენის გადაწყვეტილებას ავღანეთიდან ძალების გამოყვანის თაობაზე, შერეული რეაქცია მოჰყვა. სენატის რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერმა მიტჩ მაკკონელმა თქვა, რომ ეს საბედისწერო შეცდომა და "მტრის წინაშე უკანდახევა" იქნება. გადაწყვეტილებამ ზოგიერთი დემოკრატიც გააკვირვა, მათ შორის სენატორი რობერტ მენენდესი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე. ის შიშობს, რომ ამერიკამ ამ ნაბიჯით შესაძლოა დაკარგოს საკუთარი "მიზნების მიღწევის საშუალებები".[21]

გენერალი ოსტინ სკოტ მილერი - ავღანეთში შეერთებული შტატების სამხედრო მისიის მეთაურის განცხადებით ავღანეთში ამერიკული ჯარების გაყვანასთან ერთად, უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანაში ვითარება თანდათან უარესდება. აღსანიშნავია, რომ თალიბები შეტევაზე გადავიდნენ და ბევრი სტრატეგიული მნიშვნელობის რაიონი და პუნქტი დაიპყრეს, რომელთა დიდი ნაწილი ჩრდილოეთში, ტაჯიკეთთან საზღვრთან მდებარეობს. სტატეგიული გზების კონტროლი კი, გენერალ მილერის თქმით, თალიბებს პროვინციების დედაქალაქთა დაკავების შანსს აძლევს. გენერლის აზრით, ქაბულის უსაფრთხოების ძალების ამ რეგიონებში დამარცხების რამდენიმე მიზეზი არსებობს, მათ შორისაა გადაღლა, ფსიქოლოგიური და სამხედრო მარცხი.[22]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩავატარე კვლევა. 200-მდე გამოკითხულს შორის იყვნენ თბილისის ღია უნივერსიტეტისა და სოხუმის

[20] [https://gmas.ge/]

[21] [https://now.tufts.edu/articles/future-american-involvement-middle-east]

[22] [https://www-scribd-com]

სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებულები, დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ნატო-ს საერთაშორისო მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები. გამოკითხულთა უმეტესი ნაწილის თქმით, ავღანეთიდან საგარეო ძალების გაყვანას ექნება დიდი გავლენა და ავღანეთის მთავრობა დაკარგავს ლეგიტიმურობას, ამასთან, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების სიმძლავრე შესუსტდება და ავღანეთი კვლავ გახდება საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფების თავშესაფარი, როგორიცაა ალ-ქაიდა და ისლამური სახელმწიფო. თუმცა, გამოკითხულთა ნაწილი აცხადებს, რომ ავღანეთში 20-წლიანმა სამხედრო მისიამ, მიუხედავად უდიდესი სამხედრო დანაკარგის, მსხვერპლისა და დიდი ფინანსური დანახარჯისა, შეერთებული შტატებისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ვერ მოხერხდა ტერორისტული ორგანიზაციების ლიკვიდირება და დემოკრატიული ღირებულებების, თავისუფლებისა და კანონის უზენაოსების დამკვიდრება.

დიაგრამის სახით (დიაგრამა N1) წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი (70 %) მხარს არ უჭერს აშშ-ის სამხედრო ძალების ავღანეთიდან გაყვანას.

დიაგრამა N1


უნდა გავიდეს თუ არა აშშ-ის სამხედრო ძალები ავღანეთიდან?
[VALUE] (30%)
[VALUE] (70%)
არ ეთანხმება
ეთანხმება

დასკვნა

ზემო აღნიშნულიდან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ახლო აღმოსავლეთის როლი მსოფლიო პოლიტიკაში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რასაც 21 საუკუნის გაზისა და ნავთობის პოლიტიკაც მოწმობს. მისადმი ინტერესი დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში არათუ შემცირდება, არამედ უფრო გაიზრდება, რაც ახლო აღმოსავლეთის როლსა და მნიშვნელობას უფრო გაზრდის საერთაშორისო მასშტაბებით.
- დღეისათვის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები მეტად აქტუალურია. ის დაძაბულობა, რომელიც გამეფებულია რეგიონში, არ არის ერთი დღის ან წლის შედეგი. არსებული კონფლიქტი დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა. ავღანეთის ომის შემდეგ, ვაწყდებით სპარსეთის ყურის მეორე ომს, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია დღევანდელ მოვლენებთან და ის არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი. კონფლიქტი ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ მთავარ კრიზისად არის მიჩნეული, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. 1990-1991 წლების სპარსეთის ყურის ომი მრავალ ასპექტში წარმატებულად იყო მიჩნეული, თუმცა სადამ ჰუსეინი ამერიკისთვის და გაერთიანებული ორგანიზაციისათვის კვლავ დიდ პრობლემად რჩებოდა, რაც ნათლად დავინახეთ 2003 წელს. მსოფლიო საზოგადოების ფართო სპექტრი აკრიტიკებს აშშ-ს მიერ წარმოებულ ომებს ერაყსა და ავღანეთში, რადგან მათი შეხედულებით ამ ომებს მსოფლიოსთვის, მშვიდობის თვალსაზრისით, არაფერი მოუტანია. ამას კი მოწმობს ინტენსიური და გახშირებული ტერორისტული აქტები მსოფლიოს დიდ ქალაქებში, როგორიცაა: პარიზი, სტამბული, ანკარა და ა.შ.
- 2011 წლის დრამატულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა, რომლებმაც მოგვიანებით „არაბული გაზაფხულის“ სახელწოდება მიიღო, თითქმის მთელი არაბული სამყარო მოიცვა. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეგიონის ახალი პოლიტიკური სისტემების ფორმირებაზე. „არაბულმა გაზაფხულმა“

მმართველი რეჟიმების შეცვლა გამოიწვია თუნისსა და ეგვიპტეში. კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ წარმართულ ამბოხებას კი ნატოს ფართომასშტაბიანი სამხედრო ჩარევა მოჰყვა; შედეგად, ლიბიაშიც შეიცვალა მთავრობა. ალი აბდულა სალეჰმა, როგორც იქნა, უარი თქვა ძალაუფლებაზე იემენში. მუბარაქი პასუხისგებაშია მიცემული, კადაფი მოკლულია, ბენ ალი კი საუდის არაბეთს აფარებს თავს. მაგრამ ის მმართველი ელიტები, რომლებიც მათ შექმნეს, სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც მათ ჩამოაყალიბეს, ისევ არსებობს. სირიაში დაძაბულობა მატულობს და ორივე მხრიდან სისასტიკე არნახულ მასშტაბებს იძენს. ფაქტია, რომ რეგიონის მონარქები თუ მმართველები კვლავაც არ არიან მზად რეფორმების დასაწყებად. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც უკვე შეიცვალა რეჟიმი, ფუნდამენტური ცვლილებები ჯერაც ვერ განხორციელდა და კვლავ არამდგრადი ვითარებაა.

- აშშ - ირანის თანამედროვე ურთიერთობები მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს. ერთი მხრივ, თეირანის ატომური პროგრამის ირგვლივ არსებული დაპირისპირებანი და, მეორე მხრივ, მასთან მშვიდობიანი ურთიერთობების განვითარების მცდელობები სირიის კონფლიქტის მოგვარების, ევროპის ბაზრებზე ირანის ბუნებრივი რესურსების პორტირებისა და სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ირანის ახლად არჩეულ პრეზიდენტს ახლო ურთიერთობა აქვს ირანის სულიერ ლიდერთან, ალი ხამენეისთან. ფაქტობრივად, ამ არჩევნებში ის მის პროტეჟედ მოიაზრებოდა. სამომავლოდ კი სულიერი ლიდერის შემცვლელადაც მოიაზრება. ამ ფონზე ალბათ დამეთანხმებით, რომ ირანი მსგავსი მმართველის პირობებში არა თუ უკან დაიხევს და შეწყვეტს ბირთვული პროგრამის განახლების პროცესს, არამედ უნდა ველოდოთ მოვლენების სხვაგვარ განვითარებას. მით უმეტეს, ბირთვულ შეთანხმებასთან დაკავშირებით, მან ღიად განაცხადა, რომ შეთანხმება უნდა შედგეს, ოღონდ ირანისთვის მისაღები პირობებით. არაპირდაპირი მოლაპარაკებები აშშ-სა და ირანს შორის ვენაში ახლაც მიმდინარეობს. ამიტომ, ჯერ ძალიან ადრეა იმაზე საუბარი, თუ რამდენად

შესაძლებელი იქნება ირანის ახლად არჩეული პრეზიდენტის პირობებში შეთანხმების მიღწევა.

- ავღანეთიდან საგარეო ძალების გაყვანას ექნება დიდი გავლენა. ავღანეთის მთავრობა დაკარგავს ლეგიტიმურობას და ავღანეთის უსაფრთხოების ძალების სიმძლავრე შესუსტდება, დასავლური ჯარების არარსებობის შემთხვევაში. ამერიკის სამხედრო შენაერთების გასვლის შემდეგ, უკვე შეინიშნება თალიბების მიერ რაიონებზე კონტროლის სწრაფი ზრდა, რომელთა შორის ბევრს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ძალადობის თანდათან მზარდი ესკალაცია ქვეყანას სამოქალაქო ომის რისკის წინაშე აყენებს. თუ არ შემცირდა ძალადობა, ვითარების პოლიტიკური გზით მოგვარება სულ უფრო და უფრო რთული გახდება. გარდა ამისა, ქვეყანა შეიძლება გახდეს მასზე გავლენის მოპოვების მიზნით ჩინეთის, რუსეთისა და ირანის კონკურენციის მიზეზი.
- ბოლო დროს მსოფლიოს სხვა რეგიონების როლი და ფუნქციაც გაიზარდა, მაგრამ აღმოსავლეთმა წარსულიდან მოყოლებული დღემდე, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ეს არის რეგიონი, ის უზარმაზარი ტერიტორია უდიდესი რესურსებით, რომლისთვისაც კონფლიქტები და დაპირისპირებები მომავალშიც გაგრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. გეგეშიძე. გეოპოლიტიკა, თბ. 1999;

2. ა. პეტრიაშვილი. დიდი გადალაგების პირველი მერცხლები ახლო აღმოსავლეთში. თბ. 2020.

3. ბ. ჯენტლესონი. ამერიკის საგარეო პოლიტიკა, გამომცემლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2015, გვ. 551, 557, 557-558, 560;

4. გ. სანიკიძე. ,,ისლამური სახელმწიფო“ და ,,დიდი თამაში“ ახლო აღმოსავლეთში, ჟურნ. ,,თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი”, (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), თბ. 2015;

5. ი. გორგილაძე. გეოპოლიტიკის საფუძვლები, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბ. 2009;

6. ი. ინასარიძე. კონფესიური დაპირისპირების ფაქტორი არაბულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებში, ჟურნ. ,,თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი”, (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) თბ. 2013;

7. ი. ინასარიძე. არაბული ქვეყნები „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ: პირველი შედეგები, ჟურნ. ,,თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი”, (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) თბ. 2013;

8. მ. ბაშელეიშვილი. ირანი და აშშ-ს თანამშრომლობის საკითხი ახლო აღმოსავლეთში, ჟურნ. ,,თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი”, (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბ. 2016, გვ. 13;

9. მ. ბაშელეიშვილი. ირანი და სირიის კრიზისი, ჟურნ. ,,თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი”, (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) თბ. 2013;

10. მ. გურეშიძე. სირიის სამოქალაქო ომი და დაძაბულობის ესკალაცია რეგიონში, ჟურნ. ,,თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი", (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) თბ. 2013;

11. ნ. ხონელიძე. გეოპოლიტიკა-ტერმინი, ცნება, სამეცნიერო დისციპლინა, მსოფლმხედველობა;

12. ნ. ხონელიძე. ,,ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი" ტერმინის შინაარსობრივი ასპექტების გარკვევისა და დაზუსტებისათვის. თბ. 2013;

13. ნ. ჩიტაძე. გეოპოლიტიკა, თბ. 2011, გვ. 340;

14. რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ. 2008, გვ.387, 384-385;

15. რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი 1. ტომი - გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ. 2018,

16. რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი 2. ტომი -გეოპოლიტიკა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ. 2019.

17. შ. კიკალიშვილი. აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ. თბ. 2015, გვ. 23-24, 24-25, 4;

18. ზ. დავითაშვილი. გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში. (http://gfsis.org/files/my-world/12/01.pdf);

19. ჰ. კისინჯერი, მსოფლიო წესრიგი, თბ. 2020, გამომცემლობა ინტელექტი, გვ.176, 183;

20. ჰ. ჭიპაშვილი, სტატია ,,ახლო აღმოსავლეთი - მშფოთვარე რეგიონი. 23/11/2013 წ.

21. ალ კაიდა, საერთო მიმოხილვა, ლიზა წერეთელი, 2021

ინტერნეტ რესურსები

1. https://sputnik-georgia.com/world/20170410/235546102/irani-siria-ashsh.html (2017 20 მაისი);

2. http://for.ge/view.php?for_id=41466&cat=3 (2015-07-23 13:00:33);

3. https://cecxli.wordpress.com/2014/03/06 სპარსეთის ყურის ომი, ოპერაცია ,,უდაბნოს ქარიშხალი". (2014 წ.6 მარტი);

4. ახალი ცივი ომი ახლო აღმოსავლეთში? თამთა ლომთაძე, 2014 https://grass.org.ge/wp-content/uploads/2014/05/axaliciviomi.pdf

5. https://www.gfsis.org/ge/blog/view/723

6. http://gfsis.org/files/my-world/12/01.pdf (ზ. დავითაშვილი. გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში);

7. https://gmas.ge/2021/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AB/?fbclid=IwAR0It7wIu_vIlZyrkeRMcyweGM9j99YEzN4uO4V2znKvIp7JTPpGyzaG348

8. https://now.tufts.edu/articles/future-american-involvement-middle-east?fbclid=IwAR3tECACPxRsl88M0QeJl5tjRqZBFbnd6lDRMnoguxSjkLqMMv36BtX-MJk

9. https://www-scribd-com.translate.goog/document/510328492/Preparing-for-the-Consequences-of-Withdrawal-From-Afghanistan?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=k&fbclid=IwAR1RAzWzmrlDcIUCTgwFZWLmSq3cfEC5AYVThulroVldiQnPf0_uBvxGGpM

10. https://www.pbs.org/newshour/world/terrorism-july-dec01-bush_speech_9-12